პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 8 (10094) | სამშაბათი, 11 იანვარი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღის შესახებ (1-ლი გვერდი).

განუწყვეტლივ ვზარდოთ ლითონის წარმოება. — „პრავდის“ 10-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

1905 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილი გამოფენები (1-ლი გვერდი).

ნ. გუბანოვი. — მოსკოვის მეტროს მეხუთე რიგის მშენებლობაზე (1-ლი გვერდი).

საყიდველი-მასობრივი მუშაობა საარჩევნო კამპანიის დღეებში (მე-2 გვერდი).

ყამირზე სალაშქროდ, ახალგაზრდა [illegible] (მე-3 გვერდი).

წმრილები დაღისტნიდან. — **ვ. [illegible]** (მე-3 გვერდი).

ყისი (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა. — **ს. ქოჩლაძე.** — სასოფლო საბჭო და სოფლის კეთილმოწყობა (მე-2 გვერდი).

გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის IV ეროვნული კონფერენცია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუწყვეტლივ ვზარდოთ ლითონის წარმოება

საბჭოთა მეტალურგები დიდი აღფრთოვანებით შეუდგნენ 1955 წლის — მეხუთე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმის განხორციელებას. მეტალურგიულ ქარხნებში, ისევე როგორც მრეწველობის სხვა დარგების ათასობით საწარმოში, სულ უფრო ფართოდ ჩაღდება შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

შავი მეტალურგია სახალხო მეურნეობის ძირითადი ძალაა. ლითონის გამოდნობის ზრდა უზრუნველყოფს სულ ახალი და ახალი მანქანების გამოშვებას, იგი სოფლის მეურნეობის, მუშაობენ და კვების მრეწველობის მოწინავე ტექნიკით შეიარაღების უმნიშვნელოვანესი პირობაა. თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების გადიდება ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას და მისი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას მოასწავებს.

მძიმე ინდუსტრიის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად შავი მეტალურგია ჩვენში სოციალისტური ეკონომიკის მოწინავე დარგად გადაიქცა. ლითონის გამოშვება ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად დიდდება. საბჭოთა მეტალურგებმა გასულ წელს ახალი სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს. მათ ვადამდე შეასრულეს ფოლადის, ნაგლინისა და ფოლადის მილების წარმოების წლიური გეგმა.

ლითონის გამოშვების გადიდება უწინარეს ყოვლისა არსებული მოწყობილობის უკეთ გამოყენების, აგრეთვე ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების შედეგია. წლითიწლობით სულ უფრო მეტ თუჯს იძლევიან ბრძმედები. იზრდება ფოლადის მიღება მარტენის ღუმელების თვითეულ კვადრატულ მეტრ ქვედზე. დიდდება საგლინავი დგანების საათობრივი წარმადობა. ბევრი საამქრო და ქარხანა არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებს გეგმიან დავალებებს.

მიუხედავად ამისა, მეტალურგიულ საწარმოებში უმოქმედოდ რჩება დიდი რეზერვები და შესაძლებლობანი. მთელმა რიგმა საწარმოებმა შარშან ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი რაოდენობით დააკლეს თუჯი. ყველაზე დიდი მოვალე აღმოჩნდა ნოვი ტაგილის მეტალურგიული ქარხანა. ეს საწარმო აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, მაგრამ ტექნიკას საკმაოდ ეაყოფიერად არ იყენებენ. სახალხო მეურნეობის წინაშე ვალში აღმოჩნდნენ კრამატორსკის ქარხნისა და ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ ქარხნების საბრძმედე საამქროები. ამ საამქროებში არ იცავენ ტექნოლოგიის ელემენტარულ მოთხოვნებს. ბრძმედებს არათანაბრად ავსებენ კოქსით, მადნითა და კირქვით, რაც შლის მათს ნორმალურ მუშაობას, ამცირებს წარმადობას, აუარესებს გამოდნობილი თუჯის ხარისხს.

ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების წლიური დავალების გადაჭარბებით შესრულების კარგი საშუალო მაჩვენებლების იქით იმალება მთელი რიგი მარტენის საამქროებისა და საგლინავი საამქროების ცუდი მუშაობა. ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა აქაც იწვევს მარტენის ღუმელებისა და საგლინავი დგანების მოცდენას, ხელს უშლის მათს სრულფასოვან გამოყენებას. ამ მიზეზით შარშან ბევრი ფოლადი დააკლეს ჩვენს ქვეყანას ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნის, ქარხანა „აზოვსტალის“, ტაგანროგისა და ჩუსოვაიას ქარხნების მარტენის საამქროთა მუშაკებმა.

დავალებებს ცუდად ასრულებენ მაკეევკის, ამიერკავკასიისა და ჩელიაბინსკის ქარხნების მგლინავები. ყველაზე დიდი დავალიანება აქვთ მაკეევკის მგლინავებს. მათთან დიდი შეფერხებით მუშაობს ყველაზე მძლავრი დგანი — ბლუმინგი. სრული სიმძლავრით არც სხვა დგანებია გამოყენებული. ამის შედეგად შარშან მაკეევკელმა მეტალურგებმა ჩვენს ქვეყანას დააკლეს 160 ათას ტონამდე ნაგლინი, რომელიც თავისი პროფილით მეტად საჭიროა მანქანების წარმოებისათვის, მშენებლობებისა და სახალხო მეურნეობის სხვა უბნებისათვის.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, ქარხნებისა და საამქროების ხელმძღვანელების, ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების არსებითი ამოცანაა მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა მომდინარე წელს ყველა მეტალურგიულმა საწარმომ გაცილებით უკეთ გამოიყენოს ტექნიკა, რათა ჩვენი ქვეყანა იღებდეს სულ უფრო მეტ თუჯს, ფოლადსა და ნაგლინს.

ამ ამოცანის განხორციელებაში მეტალურგებს სისტემატურად უნდა ეხმარებოდნენ მრეწველობის სხვა დარგების მუშაკები. მეტალურგიული წარმოება უწყვეტი წარმოებაა. იგი ვერ ურიგდება რაიმე შეფერხებას მადნის, კოქსვადი ქვანახშირის, კირქვის მიღებაში. ზამთრის პერიოდისათვის ჩვეულებრივ იქმნება ასეთი მასალების საჭირო მარაგი. ამასთან ამ მასალების მიღება ზამთარში სრულებითაც არ წყდება. ეს საწარმოს თავიდან აცილებს ყოველგვარ გართულებას, რაც დაკავშირებულია ყინვებისა და ნამქერის დროს მუშაობასთან.

ამიტომ არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ შექმნილი მდგომარეობა, როცა მადანი, კოქსვადი ქვანახშირი და კირქვა ახლა ბევრ საწარმოს საკმაო რაოდენობით არ მისდის. ამაში უწინარეს ყოვლისა ბრალი მიუძღვით რკინიგზის ტრანსპორტისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს. რკინიგზელები მეტალურგებისათვის საჭირო მასალების სრულ ნორმას არ ეზიდებიან, ხოლო ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები საკმაო რაოდენობით არ გზავნიან კოქსვად ქვანახშირს. ნოემბერსა და დეკემბერში ქარხნებში შემცირდა მადნისა და კოქსვადი ქვანახშირის მარაგი. კოქსვადი ქვანახშირის დიდი რაოდენობა ვერ გამოუშვეს კომბინატმა „კარაგანდაუგოლმა“, კუზბასისა და დონბასის მთელმა რიგმა შახტებმა.

შავი მეტალურგიის განვითარების დარგში მეხუთე ხუთწლედის ამოცანების განხორციელება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მშენებლებზე, მათ მიერ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავებაზე. სამწუხაროდ, მშენებლები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებაში. სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო ნაკლებად ზრუნავს მშენებლობის ყოველმხრივი ინდუსტრიალიზაციისათვის, მშენებელი ორგანიზაციების საწარმოო ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის. ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის დონე ხშირად ჩამორჩება თანამედროვე ინდუსტრიული მშენებლობის გაზრდილ მოთხოვნებს. მეტალურგები, თავის მხრივ, ყოველთვის დროზე როდი უზრუნველყოფენ მშენებლებს საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, გავაძლიეროთ სამშენებლო სამუშაოთა ტემპი და უზრუნველყოთ შავი მეტალურგიის ახალ საწარმოო სიმძლავრეთა დროზე ამუშავება.

კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში მთავარია ჩამორჩენილნი ავიყვანოთ მოწინავეთა დონემდე. მეტალურგებს ცოტა როდი აქვთ მაღალნაყოფიერი შრომის, საწარმოო სიმძლავრეთა უნარიანი გამოყენების ნიმუშები. მაგალითად, ყველა მეტალურგმა რომ მიაღწიოს ტექნიკის გამოყენების ისეთსავე დონეს, როგორიც მიღწეულია მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის კომბინატებში, ჩვენი ქვეყანა ერთი წლის განმავლობაში იმავე ბრძმედებით და მარტენის ღუმელებით, იმავე საგლინავი დგანებით მიიღებს მრავალი მილიონი ტონით მეტ თუჯს, ფოლადსა და ნაგლინს, ვიდრე ამჟამად იღებს. სწორედ ამიტომ უპირველესი ამოცანაა წარმოების ნოვატორთა და მოწინავეთა გამოცდილების ყოველმხრივ გამოყენება.

მეტალურგიაში, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, საჭიროა ენერგიული ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის. აქ შეუწყნარებელია ყოყოჩობა და უდარდელობა. საჭიროა უფრო გაბედულად და მტკიცედ დავნერგოთ ყოველივე ახალი და მოწინავე, რასაც მეცნიერება და პრაქტიკა გვაძლევს შავი მეტალურგიის დარგში. კერძოდ, საჭიროა უფრო გულმოდგინედ გამოვიყენოთ ჟანგბადი საწარმოო პროცესის ინტენსიფიკაციისათვის, გაზის გადიდებული წნევა ბრძმედის საკერძეზე, მუდმივი ტენის ბერვა, თვითდნობადი აგლომერატი.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უფრო ღრმად ჩასწვდნენ შავი მეტალურგიის საწარმოთა და მშენებლობათა საწარმოო ცხოვრებას, სათავეში ჩაუდგნენ მეტალურგთა და მშენებელთა ბრძოლას გეგმიან დავალებათა სანამუშოდ შესრულებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ მეტალურგებს არა ჰქონდეთ არც ერთი ჩამორჩენილი საამქრო, არც ერთი ჩამორჩენილი მშენებლობა.

საბჭოთა მეტალურგებისა და მეტალურგიულ საწარმოთა მშენებლების პატრიოტული მოვალეობაა წარმატებით განახორციელონ შავი მეტალურგიის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, განუწყვეტლივ ზარდონ ლითონის წარმოება.

„პრავდის“ 10/I მოწინავე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღის შესახებ

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ დამკვიდრდა ტრადიცია აღინიშნოს ვ. ი. ლენინის — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლისა და ბრძენი ბელადის ხსოვნა მისი გარდაცვალების დღეს — 21 იანვარს.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პირველ წლებში ეს დღე საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის შეგნებაში უშუალოდ უკავშირდებოდა სამწუხარო მოვლენას — დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრების გზის დამთავრებას; აქედან გამომდინარეობდა იმ ღონისძიებათა საზეიმო-სამგლოვიარო ხასიათი, რომლებთანაც აღინიშნებოდა ვ. ი. ლენინის ნათელი ხსოვნა.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ განვლილი 30 წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მოხდა გიგანტური სოციალისტური გარდაქმნები. ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შთააგონა და დარაზმა საბჭოთა ხალხი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის. მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ძლევამოსილ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ.

მიდიოდა რა იმ გზით, რომელიც ლენინმა დასახა, პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ი. ბ. სტალინი მეთაურობდა, ჩვენი სამშობლოს ხალხები მიიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე. ახლა წყდება სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ამოცანა, ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა.

ლენინიზმი არის დიადი ცხოველმყოფელი მოძღვრება, რომელიც გვინათებს კომუნიზმის მშენებლობის გზას. ლენინი ცოცხლობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიად საქმეებში, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ახალ წარმატებებში, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმის გზით. ლენინის იდეები ძლიერ გავლენას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. ლენინის იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის მშრომელთა საქმეებში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საერთაშორისო მოძრაობაში, რომელიც იზრდება და მტკიცდება.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა შეგნებაში ვ. ი. ლენინის სახელთან, მის მოძღვრებასთან დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანების დიდი გამარჯვებები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ამიტომ ახლა უფრო მიზანშეწონილია ვ. ი. ლენინის ხსოვნა აღინიშნოს არა მისი გარდაცვალების დღეს, რაც გლოვისა და მწუხარების დაღს ასვამს, არამედ ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს — 22 აპრილს, მიეცემა რა ამ თარიღს დღესასწაულის მნიშვნელობა, რაც უფრო მეტად შეესაბამება ლენინიზმის, როგორც მუდამ ცოცხალი, ცხოველმყოფელი მოძღვრების მთელ არსს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი **ადგენს:**

ვ. ი. ლენინის, მშრომელთა დიდი ბელადისა და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ხსოვნის დღე ზეიმით აღინიშნოს ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს — 22 აპრილს.

ამ დღეს ფართოდ იქნას გაშუქებული მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეის მნიშვნელობა და კომუნიზმის მშენებლობაში მიღწეული წარმატებანი. დღესასწაულის წინა დღეს გაიმართოს პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო კრებები, აგრეთვე მოხსენებები და საუბრები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და ლენინიზმის იდეის მნიშვნელობის შესახებ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ხრუშჩოვი.

პარიზის მოწოდებით

8 იანვარს ლენინგრადში, ვიენაში, მინსკში, ალმა-ატასა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში გაიმართა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის კრებები. ახალგაზრდა პატრიოტები ლაპარაკობდნენ, რომ მხურვალედ უჭერენ მხარს მოსკოველთა მოწოდებას და უდიდესი სურვილით მიემგზავრებიან ყამირა და ნასვენი მიწების ასათვისებლად. სიტყვით გამოსულებმა — სხვადასხვა პროფესიის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა — განაცხადეს, რომ ისწრაფვიან ღირსეულად შეასრულონ პარტიის დავალება, ყოველი დონე იხმარონ ახალი მიწების უსწრაფესად ათვისებისათვის.

კრებებმა მიიღეს გადაწყვეტილებანი, რომლებითაც მოიწონეს მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ახალგაზრდობის მიმართვა. (საკდესი).

1905 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილი გამოფენები

ხარკოვი. ხარკოვის სახელმწიფო ისტორიის მუზეუმში გაიხსნა რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია. მასში დიდი ადგილი უკავია დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია 1905-1907 წლების რევოლუციური ამბები ხარკოვში. აქ წარმოდგენილია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხარკოვის კომიტეტის მიმართვა მუშებისადმი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო გაფიცვისაკენ მოწოდებით, პოლიცმეისტერის ცნობა ხარკოვის ორთქლმავლებისა და ვაგონების სახელოსნოების მუშათა გაფიცვების შესახებ. ექსპონირებულია ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის მუშების დროშა, მებრძოლი რაზმების მონაწილეთა იარაღი და სხვ.

მუზეუმის მეცნიერმა მუშაკებმა ოლქის რაიონებისათვის მოამზადეს 1905-1907 წლების რევოლუციისადმი მიძღვნილი 10 მოძრავი გამოფენა. გამოფენებს მთელი წლის განმავლობაში უჩვენებენ სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბებში და მტს-ების წითელ კუთხეებში.

* * *

ვილნიუსი. ამ დღეებში მშრომელთა მრავალრიცხოვანი ექსკურსიები მოდის ლიტვის სსრ სახელმწიფო ისტორიულ-რევოლუციურ მუზეუმში, სადაც გაიხსნა გამოფენა, მიძღვნილი რესპუბლიკაში 1905 წელს მომხდარი ამბებისადმი.

დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებიან რუკებთან, დიაგრამებთან, დოკუმენტებთან, რომლებიც ასახავენ ლიტვის ქალაქებსა და სოფლებში რევოლუციური მოძრაობის ფართო გაქანებას. სტენდებზეა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ვილნიუსის ჯგუფის ფურცლები და მოწოდებები, მიძღვნილი 13 იანვრის მუშათა გამოსვლებისადმი. ექსპონირებულია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ვილნიუსის ორგანიზაციის 6 ნოემბრის მოწოდება: „მამაკაცებო, იარაღი აიღეთ!“.

დიდ ინტერესს იწვევს გლეხთა მღელვარებისადმი მიძღვნილი განყოფილება. დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ გლეხებმა დაამხეს ხელისუფლება ქოვნოს გუბერნიის მთელ რიგ თემებში და გაანადგურეს მემამულეთა კარმიდამო.

* * *

კიშინიოვი. პარტიის კიშინიოვის საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნისა და ილუსტრაციის დიდი გამოფენა. გამოფენა მოგვითხრობს 1905 წლის 9 იანვრის ამბებზე. აქ ექსპონირებულია ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის ნაშრომები, დიაგრამები, რუკები, სურათების „დახვრეტა ზამთრის სასახლესთან“, „ნარვის კართან 1905 წლის 9 იანვარს“ რეპროდუქციები.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისათვის წიგნის დიდ გამოფენას ამზადებს აგრეთვე ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა.

10 იანვარი. (საკდესი).

ყამირის ასათვისებლად

ალმა-ატა, 7 იანვარი. (საკდესი). ყაზახეთში ახლა იქმნება მარცვლეულის 230 ახალი საბჭოთა მეურნეობა. გაზაფხულზე მათ უნდა მოხნან ხუთ მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწები. სამნახევარი მილიონი ჰექტარი ახალი მიწები უნდა აითვისონ ახლა რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა. ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებში ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდის პატრიოტული წერილები კომკავშირელებისა და ახალგაზრდებისა, რომლებიც თხოულობენ გაგზავნონ ისინი მოდმივ სამუშაოდ მტს-ებსა და ახალ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც ყამირის ასათვისებლად მუშაობენ. ბევრი აცხადებს სურვილს შევიდეს კურსებზე, რათა დაეუფლოს ტრაქტორისტის, კომბაინერის, მშენებლის პროფესიებს.

ალმა-ატის საწარმოებში გაიმართა ახალგაზრდობის ხალხმრავალი კრებები. რესპუბლიკის დედაქალაქის ახალგაზრდა მუშებმა და სპეციალისტებმა გამოთქვეს მხურვალე მისწრაფება უშუალო მონაწილეობა მიიღონ ახალი მიწების ათვისებაში.

ალმა-ატის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა. კრებაზე მეორე მექანიკურ-საამწყობო საამქროში ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა სურვილი წვიდეს ყამირზე საამქროს საუკეთესო ხარატმა, კომკავშირელმა ვლადიმერ პეჩურკინმა.

— ჩემი ადგილი, — თქვა მან, — პურისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზეა.

მის შემდეგ გამოვიდა მშენებელი ტექნიკოსი ევგენი მოზალევსკი:

— ასობით ახალი საბჭოთა მეურნეობის დაბების მოკლე ვადაში აშენება საპატიო საქმეა. მინდა, რომ ამ საქმეში ჩემი შრომის წვლილიც იყოს.

ყამირზე წასვლის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე საუკეთესო მუშებმა — ხარატებმა იური სუბოტინმა და ალექსი პრიადკომ, ზეინკლებმა ნიკოლოზ მაკარენკომ, ბორის ისლიკინმა და სხვებმა.

ალმა-ატის ელექტროტექნიკურ ქარხანაში განცხადება ყამირის ასათვისებლად გაგზავნის შესახებ შეიტანა 30-მდე ახალგაზრდა მუშამ. განცხადება შეიტანა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის წევრმა ვიქტორ შჩერბაკოვმა.

ალმა-ატას კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ გადაწყვიტეს კადრებით დააკომპლექტონ მარცვლეულის ოთხი ახალი საბჭოთა მეურნეობა.

ყამირის გასატეხად წასვლის სურვილი განაცხადა ჩიმკენტის, ყარაგანდის, უსტ-კამენოგორსკის, სემიპალატინსკისა და ყაზახეთის სხვა ქალაქების ასობით კომკავშირელმა და ახალგაზრდა მუშამ.

მოსკოვის მეტროს მეხუთე რიგის მშენებლობაზე

ნ. გუბანოვი,
მოსკოვის მეტრომშენის უფროსი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი წლითიწლობით მშვენდება ახალ-ახალი შესანიშნავი ნაგებობებით, რომლებიც ცხადყოფენ საბჭოთა სამშენებლო ტექნიკის ზრდას, მოწინავე საბჭოთა არქიტექტურის დიდ წარმატებებს.

მეტროპოლიტენი არის მოსკოვის რეკონსტრუქციის გეგმის განუყოფელი ნაწილი, უმნიშვნელოვანესი რგოლი, მთავარი საშუალება, რომელიც წყვეტს მგზავრების სწრაფი, მოხერხებული და იაფი გადაყვანის პრობლემას. საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეებში მეტრომშენის ორგზის ორდენოსანმა კოლექტივმა დამთავრა „დიდი რკალის“ მეოთხე რიგის უკანასკნელი, მესამე უბნის მშენებლობა. 5 ნოემბერს გაიხსნა მეტროს კიდევ ერთი ახალი მიწისზედა სადგური — „პერვომაისკაია“. ახლა მოსკოვის ქუჩების ქვეშ გვირაბების სიგრძე უდრის დაახლოებით 130 კილომეტრს, აგებულია 44 მიწისქვეშა და ერთი მიწისზედა სადგური. მეტროს მატარებლებს ყოველდღიურად გადაჰყავთ 3 მილიონამდე მგზავრი.

ამჟამად ფართოდ გაჩაღდა მოსკოვის მეტროპოლიტენის მეხუთე რიგის ახალი ხაზების აგების სამუშაოები. მეხუთე რიგი შედგება ორი რადიუსისაგან: შჩერბაკოვის რადიუსისაგან, რომლის სიგრძეა 5,5 კილომეტრი და რომელშიც შედის ოთხი სადგური — „ბოტანიკური ბაღი“, „რიგისა“, „ალექსეევსკაია“ და „სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა“, და ფრუნზეს რადიუსისაგან, რომლის სიგრძეა 7 კილომეტრი და რომელიც ყირიმის მოედანს დაუკავშირებს მოსკოვის უნივერსიტეტთან ლენინის გორაზე და რომელსაც ექნება ხუთი სადგური: „ფრუნზეს“, „უსაჩევსკაია“, „ლუჟნიკოვსკაია“, „ლენინის გორა“ და „უნივერსიტეტი“.

მეტროპოლიტენი ურთულესი საინჟინრო ნაგებობაა. მის მშენებლობაში მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის ასობით საწარმო. თვითეული ახალი ხაზის გაყვანა ახალი ნაბიჯია საბჭოთა მეტრომშენებლობის ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში. თუ პირველი რიგის მშენებლობისას ერთი მეტრი გვირაბის გაყვანაზე იხარჯებოდა 646 კაცსაათი, მეოთხე რიგის მშენებლობისას ამავე სამუშაოზე იხარჯებოდა 108 კაცსაათი, ე. ი. ექვსჯერ ნაკლები. მეხუთე რიგის მშენებლობა კიდევ უფრო მაღალ დონეზე წარმოებს.

მეტროს მშენებელთა უბოროტესი მტრები იყვნენ და არიან წყალი და სუსტი ქანები. მეოთხე რიგის ტრასზე მეტრომშენებლებმა ოთხ ადგილას გაიარეს მდინარე მოსკოვის ქვეშ. წყლის მოდენა ცალკეულ სანგრევებში აღემატებოდა 2 ათას კუბურ მეტრს საათში. იმ წყალს, რომლის ამტუმბავაც მოუხდათ, შეეძლო უზრუნველეყო მილიონიანი მოსახლეობის ქალაქის საჭიროება. მოსკოვის გეოლოგიას აქვს ისეთი ნაკვეთებიც, სადაც ვერავითარი წყალსაქცევი, ვერავითარი გამაგრება ვერ უზრუნველყოფს გვირაბის გაყვანას, თუ გამოყენებულ არ იქნა სპეციალური მეთოდები. დიდი რკალიდან კრასნაია პრესნიას დეპოში მისასვლელი შტოების მშენებლობაზე, რომლებიც მძლავრ მცურავ ქანებს სერავენ, იყენებენ ჰორიზონტალური გვირაბების გრუნტის გაყინვას. ამ მიზნით მომავალი გვირაბის გაყოლებით გაჰყავთ თხრილი, რომლითაც მოძრაობს გამციებელი ხსნარი და მილების გარშემო ქმნის 36 გრადუსამდე ყინვას. ამ გზით მცურავ ქანებში ხელოვნური სიცივის დახმარებით იქმნება ორ მეტრამდე სისქის ორი მაგარი სიგრძივი ეკიდელი და გაყინული თაღი. კედლების შიგნით გაჰყავთ 6 მეტრი დიამეტრის თუჯის გვირაბი. ამ მიზნით აგებული გამყინავი სადგური ყოველ საათში ამუშავებს მილიონნახევარ კალორია სიცივეს. ერთ თვეში სადგურს შეუძლია წყლისგან დაამზადოს 15 ათას კუბურ მეტრამდე მოცულობის ყინულის მთა. ამ გზით წელს დამთავრდა გვირაბი 500 მეტრ უბანზე და შენდება 250 მეტრი სიგრძის გვირაბი.

მეტროპოლიტენის ყოველ ახალი ხაზის აგება იწყება ვერტიკალური ჭაურების გაყვანით, რომელთა საშუალებით ქვევით ჩაჰქვთ ყველა საჭირო მასალა, მექანიზმები, მოწყობილობა, ზევით ამოაქვთ დამუშავებული ქანები, გაჰყავთ ყოველგვარი კაბელები, წყალსადენის და საკანალიზაციო მილები და სხვ.

ფრუნზეს რადიუსის ჭაურების გაყვანის დროს მეტრომშენის პრაქტიკაში პირველად არის გამოყენებული წყალთან ბრძოლის შემდეგი ხერხი: ჭაბურღილებში, რომლებიც გაბურღილია მომავალი ჭაურების გარშემო, ქანების ნაპრალებსა და სიცარიელეში იტენიდნენ ცხელი ბიტუმი და ცემენტის ხსნარი. ამან აღმოფხვრა წყალსაქცევის მოწყობის აუცილებლობა, 20-25 პროცენტით დაჩქარა გაყვანა და მნიშვნელოვნად გააიაფა სამუშაოთა ღირებულება.

ჭაურების გაყვანის დროს შჩერბაკოვის რადიუსზე საჭირო გახდა მძლავრი მცურავი ქანების გადაკვეთა. წინათ ეს კეთდებოდა ხელოვნური გაყინვის საშუალებით, მაგრამ ყინავდნენ მხოლოდ ქანების უდგარ ზემო სისქეს, ხოლო ქვემო მდგრადი ქანები ამოჰქონდათ წყლის ამოტუმბვასთან ერთად 1.400 კუბურ მეტრამდე საათში. ამოტუმბვა მოითხოვდა დადგმულიყო მძლავრი წყალსაქცევი ტუმბოები, რომლებსაც ჭაურის კვეთის დიდი ნაწილი ეკავათ და მკვეთრად აუარესებდნენ მუშათა შრომის პირობებს. შჩერბაკოვის რადიუსის მშენებლობაზე გადაწყდა ჭაურების გაყვანა განეხორციელებინათ გრუნტის გაყინვის ხერხით ჭაურის მთელ სიღრმეზე. ამან მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება და უზრუნველყო ჭაურის გაყვანის სწრაფი ტემპი.

გაყინული გრუნტების გათხრის დროს მშენებლები წარმატებით იყენებენ ბურღვა-აფეთქების სამუშაოებს, რაც ორ-სამჯერ აჩქარებს გვირაბგაყვანას. მაგალითად, სადგურ „სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის“ მშენებლობაზე გამყვანების ანმ. ავდიუხოვის, მორდასოვისა და პოლიაკოვის ბრიგადებმა მიაღწიეს ჭაურების გაყვანის სიჩქარეს დღეღამეში 2,84 მეტრამდე, მაშინ როცა გვირაბგაყვანის საშუალო საღღეღამისო სიჩქარე მეოთხე რიგზე შეადგენდა მხოლოდ 0.33 მეტრს.

ბოტანიკური ბაღისა და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საგვურების მშენებლები უკვე გამოვიდნენ ტრასზე და გაჩაღეს სადგურთა და გადასასვლელთა გვირაბების ასაგები სამუშაოები.

მეხუთე რიგის მშენებელთა ძირითადი ამოცანაა გვირაბების გაყვანის სიჩქარეთა გადიდება. საუკეთესო ჩქაროსანმა გვირაბგამყვანებმა ანმ. მიხაილოვმა, კოზლოვმა, კუზნეცოვმა, ლევშინმა, გოლუბევმა, ტიმოშინმა, გაურამ, რატნიკოვმა, პავლოვმა, ლაგოდენკომ და ზახარიუტენკომ მიაღწიეს გვირაბგაყვანის უდიდეს სიჩქარეს — გადასარბენი გვირაბის 150 მეტრს თვეში ე სასადგურო გვირაბისა — 53,25 მეტრს.

ეს დიდი შედეგები მიღწეულია საწარმოო ციკლის ყველა ოპერაციაზე დროის შემცირებით, სამუშაოთა ორგანიზაციისა და მექანიზაციის გაუმჯობესებით.

მიწისქვეშ გვირაბგაყვანასთან და სხვა სამუშაოებთან ერთად არქიტექტორები მუშაობენ მეხუთე რიგის ახალი საგვურების პროექტების შედგენაზე. მომშირკეთებლები ამზადებენ მარმარილოსა და გრანიტის

საagიტაციო-მასობრივი მუშაობა საარჩევნო კამპანიის დღეებში

მკითხველთა წერილების მიმოხილვა

საპატიო და სასახელოა აგიტატორის მოვალეობა. იგი მოწოდებულია აამაღლოს მშრომელთა შეგნებულობის დონე, დაეხმაროს მასებს ღრმად გაიგონ და წარმატებით განახორციელონ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, დარაზმოს საბჭოთა ადამიანები შემოქმედებითი შრომისათვის. განსაკუთრებით გაიზარდა აგიტატორთა პასუხისმგებლობა ამ დღეებში, როცა მთელ რესპუბლიკაში გამოცხადებულია მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ყოფილ საარჩევნო უბნებთან შექმნილ აგიტპუნქტებში და მოსახლეობაში დიდ მუშაობას ეწევიან აგიტატორები, რომლებიც დამაჯერებლად განუმარტავენ მშრომელებს საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობას ბურჟუაზიულ საარჩევნო სისტემასთან შედარებით.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა შრომის სასახლის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (თბილისი). აქ შექმნილია ოთხი აგიტკოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 63 აგიტატორი. ისინი საagიტაციო საუბრებს მართავენ როგორც შრომის სასახლის მუშა-მოსამსახურეთა შორის, ისე მოსახლეობაში. პარტიულმა ორგანიზაციამ კიდევ უფრო უკეთ მოაწყო საagიტაციო მასობრივი მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში, — გვწერს შრომის სასახლის პარტორგანიზაციის ბიუროს წევრი ა. ბალასანოვი. — ამ ცოტა ხნის წინათ პარტიულ კრებაზე განხილულ იქნა აგიტატორების მერაბიშვილისა და ოვანოვის, აგრეთვე აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების კაჭარავას და მანჯგალაძის მოხსენებანი მათი მუშაობის შესახებ. კრებამ მოსახლეობაში პოლიტიკური აგიტაციის გასაძლიერებლად დასახა საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი.

საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, — გვწერს ტყიბულიდან ნ. ჯანჯიხაძე, — გაძლიერდა აგიტაცია პოლიტოვის შახტის კომუნისტებსა და უპარტიო მშრომელთა შორის. შახტის პარტბიუროო ზრუნავს იმისათვის, რომ პოლიტიკურმა აგიტაციამ მოიცვას ყველა მუშა, სისტემატურად ამოწმებს აგიტატორთა საქმიანობას, ასწავლის და წარმართავს მათს მუშაობას, აწყობს მოწინავე აგიტატორების გამოცდილების განზოგადებას. კარგად მუშაობენ აგიტატორები ვ. ქარქაშაძე, შ. ლაფერაძე, პ. ქარქაშაძე და სხვები. აგიტატორები თავიანთ საუბრებს უნარიანად აკავშირებენ პრაქტიკულ ამოცანებთან, რაზმავენ მეშახტეებს მეტი ქვანახშირისათვის სბრძოლველად. ამჟამად აგიტატორები საუბრებს მართავენ თემებზე „საბჭოთა საარჩევნო სისტემა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულია“, „საბჭოთა პატრიოტიზმი“ და სხვ. საუბრებში აგიტატორები ფართოდ იყენებენ ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს, აგრეთვე რუკებს და დიაგრამებს.

— აგიტატორის საპატიო მოვალეობა, — გვწერს გ. ხეჩუაშვილი, — კარგად აქვს შეგნებული შირაქის მტს-ის მერვე ბრიგადის აღმრიცხველ-ამწყობს ა. წიკლაურს. იგი ყოველთვის მომზადებული მიდის მსმენელებთან. აგიტატორი კარგად იცნობს თვითეულ მსმენელს, მის შრომის უნარს. ა. წიკლაური სისტემატურად უშვებს საველე გაზეთს, რომლის საშუალებით მას არაერთხელ გამოუმჟღავნებია ნაკლოვანებები, გამოუვლენია ზარმაცები და უქნარები.

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხიდარის კოლმეურნეთა შორის რამდენიმე წელია საagიტაციო მუშაობას ეწევა მასწავლებელი შ. ავალიშვილი. აგიტატორმა, — გვწერს გ. ბერიძე, — თავიდანვე მიიპყრო კოლმეურნეთა ყურადღება. განსაკუთრებით უნარიანად ეწევა იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, რაზმავს მშრომელებს ამ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამ მიზნით იგი იყენებს საagიტაციო-მასობრივი მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიც არის საუბარი, გაზეთის ხმამაღლა კითხვა, საველე გაზეთი და სხვ.

დუშეთის რაიონის სოფლების — მაღაროსკარის სტალინის სახელობის, ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელობის, წიფრანის და სხვა კოლმეურნეობებმა წელს პირუტყვისათვის დიდი რაოდენობით დაამზადეს საკვები. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში, — წერს რედაქციას ნ. ბულალაური, — აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგიტატორებმა ლ. ნაყეურმა, ნ. ქისტაურმა, ლ. არაბულმა, ლ. უძილაურმა. ისინი კოლმეურნეებს რაზმავდნენ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, ამასთან პირად მონაწილეობას იღებდნენ თივისა და სხვა საკვების დამზადებაში.

მაგრამ, როგორც „კომუნისტის“ მკითხველები იუწყებიან, პოლიტიკურ აგიტაციას ყველგან როდი ეძცევა ჯეროვანი ყურადღება. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში სუსტად არის დაყენებული საagიტაციო მუშაობა. ეს იმითაც არის გამოწვეული, — გვატყობინებს სოფლკორი, — რომ ცუდად მუშაობს აგიტკოლექტივი. ხშირად მოუმზადებლად ეწყობა აგიტკოლექტივის მეცადინეობა, ყურადღება არ ეძცევა მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების განზოგადებას, აგიტაცია მოწყვეტილია პრაქტიკულ ამოცანებს.

საagიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე რედაქციას სწერენ აგრეთვე გაზეთის მკითხველები: მუკუზნის საბჭოთა მეურნეობიდან ი. გოგამელი, ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობიდან ვ. დოხნაძე, წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის კოლმეურნეობიდან დ. ჩიტაიშვილი.

საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით საagიტაციო-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაძლიერება პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის საoპერაციენტო საამქროს თარგის ჩამწყობმა ე. პეტროვამ გასულ წელს 2.000 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი დაზოგა. სურათზე: ე. პეტროვა (წინა პლანზე) და თ. პაპიაშვილი თარგის ჩაწყობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეები

◉ **ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში** (ყოფილი ნავთლუღის ახალი ფაბრიკა) იანვრის განვლილი დღეების შედეგები მოწმობს, რომ მეფეხსაცმლეებმა წარმატებით დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი. 3-6 იანვრის დაკალების გადამეტებით გამოშვებულია 500-მდე წყვილი ფეხსაცმელი.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა პირველ საამქროს კოლექტივმა, რომელმაც პროდუქციის გამოშვების გეგმა 107 პროცენტით შეასრულა. კიდევ უფრო კარგი შედეგები აქვს მეხუთე საამქროს კოლექტივს, რომელიც ბავშვის ფეხსაცმელს ამზადებს.

მაგრამ ფაბრიკის ყველა უბანი როდი ასრულებს დაკალებებს. ჩამორჩა მე-8 ნაკადი, საიდაც სამოდელო ფეხსაცმელი იკერება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ბათუმის ტყავის ქარხანა საკმაო რაოდენობით არ აწვდის მეფეხსაცმლეებს საჭირო ხარისხის საზედაპირე ტყავს, ფაბრიკაში ჯერაც არ მიუღიათ შევრო, რომელიც გასული წლის მეოთხე კვარტალში უნდა მოეწოდებინათ მეტყაველებს.

◉ **თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში** ახალი სამეურნეო წლის დაწყებას სრული მზადყოფნით ვერ შეხვდნენ. პირველ სამუშაო დღეს — 3 იანვარს ფაბრიკის ღილის ცვლა გაცდა იმის გამო, რომ საორთქლე მეურნეობისათვის საჭირო საწვავი არ აღმოჩნდა.

ამავე დროს ფაბრიკის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები შრომითი თავდადებისათვის ნამდვილ ბატრიოტულ მზადყოფნას გვიჩვენებენ, მაქსიმალურად იყენებენ იმ დროს, როცა მათ სრული დატვირთვით მუშაობის საშუალება ეძლევათ. 5 იანვარს ფაბრიკას საშუალება ჰქონდა გაუცდენლად ემუშავნა. მან ხამი ქსოვილების გამოშვების დღიური დავალება გაანაღდა 114,3 პროცენტით, ხოლო მზა ქსოვილების გამოშვებისა — 102 პროცენტით.

საგზოთა მშენებლობა

სასოფლო საგზაო-საექსპლუატაციო სოფლის კეთილმოწყობა

ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს ადგილსამყოფელს ძლივს მივაგენით. ცხავინ იფიქრებდა, რომ სასოფლო საბჭო ერთ პატარა და უხეირო ოთახში იქნებოდა მოთავსებული. კიბეზე ფრთხილად ავედით. კარი დია იყო. ოთახში რომ შევედით, თვალში მოგვხვდა ერთიმეორეზე მიდგმული მაგიდები, მათზე დალაგებული საანგარიშოები და ჭუჭყიანი სამელნეები, ოთხი სკამი, რომელთაგან ორი სამ ფეხზე იდგა. საბჭოში არავინ აღმოჩნდა.

— ხომ არ იცით, სად არიან სასოფლო საბჭოს მუშაკები? — შევეკითხეთ ეზოში მყოფ ახალგაზრდას.

— რა მოგახსენოთ! გუშინაც ბევრი ველოდე, მაგრამ ჩემსავით საქმეზე მოსულთა მეტი ვერავინ ვნახე, — გვიპასუხა მან.

რა გაეწყობოდა. სასოფლო საბჭოს მუშაკთა ნახვა შემდეგისათვის გადავდევით და სოფლების დათვალიერებას შევუდექით. ჯოყოლოს ცენტრში დიდი შენობის აგება დაუწყიათ, იგი განკუთვნილია სასოფლო საბჭოს, კლუბისა და ბიბლიოთეკისათვის. შენობისათვის 1949 წელს ჩაუყრიათ საძირკველი. მას შემდეგ ქვას ქვაზე აედებენ, აგურს აგური ემატება, მაგრამ გადახურვამდე მაინც ვერ მისულან. ბევრს შევეკითხეთ, მაგრამ ვერავინ გვითხრა, როდის აპირებენ მშენებლობის დამთავრებას.

გზაში მხარზე თუნგეზშედგმული ქალები შემოგვხვდნენ. მდინარე ალაზნიდან წყალი მოჰქონდათ. ჯოყოლოში მთა „ძირობიდან“ ერთი წლის წინათ ცივი, ანკარა წყალი მოედინებოდა. შემდეგ მილები დაზიანდა და წყალი შეწყდა. ქვემო ხალაწანში წყალი „ხარატაანთ“ ვენახიდან მოდიოდა. მილები აქაც მოძველებულა და წყალი „გამქრალა“. ჯოყოლოსა და ქვემო ხალაწნის მცხოვრებნი წყაროების აღდგენას მოითხოვენ, მაგრამ სასოფლო საბჭოს აღმასკომი მათს თხოვნას ყურადღებას არ აქცევს.

სოფელი ომალო ლამაზ ადგილზეა გაშენებული. ნაგრამ სოფელს მზრუნველი ხელი არ ატყვია. ომალოელებს ხე-ტყე ბევრი აქვთ, მდინარე ალაზანს უამრავი ქვა-ქვიშა მოაქვს, მაგრამ კლუბის, ბიბლიოთეკისა და სხვა საზოგადოებრივი შენობების აგებაზე დღემდე არავის უფიქრია. კოლმეურნეობის კანტორა ერთ პატარა დაჭირავებულ ოთახშია მოთავსებული. იმის გამო, რომ ბინა არა აქვთ, გასულწელს ომალოში კინოსურათი ერთხელაც არ უჩვენებიათ.

ჯოყოლოს სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში ცუდი ამინდის დროს გავლა ადვილი საქმე როდია, ორღობეები წყლითა და ტალახით იტსება. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. მუთოშვილმა როგორც იქნა „მენიშნა“ ეს მდგომარეობა და მისი გამოსწორება მოიწადინა. გასული წლის აპრილში აღმასკომმა ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე იმსჯელა და ზემო და ქვემო ხალაწნების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს დაავალა უზრუნველყოთ სასოფლო გზების კეთილმოწყობა.

ამ დადგენილების მიღებიდან რვა თვე გავიდა, მაგრამ გზები ჯერ კიდევ შეუკეთებელია. ხოლო სასოფლო საბჭოს აღმასკომს თავისი დადგენილება კიდეც დაავიწყდა.

სასოფლო საბჭოს საგზაო მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს კ. ამაძეს ამბორჩევლები ხშირად მიმართავენ, სთხოვენ იზრუნოს საუბნო გზების კეთილმოწყობისათვის. მაგრამ იგი ყოველთვის უდროობას იმიზეზებს. არც კომისიის წევრები, სასოფლო საბჭოს დეპუტატები გ. მღებრიშვილი და დ. ჭარელიძე იწუხებენ თავს გზების კეთილმოწყობაზე ფიქრით.

ჯოყოლოს საავადმყოფოს კოლექტივი (ექიმი ვ. დვიძე) სამაგალითოდ მუშაობს. მაგრამ მას დახმარება აკლია. საავადმყოფოს შენობას რემონტი სჭირდება, ზოგჯერ შეშაც არა აქვთ. სასოფლო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივ კომისიას (თავმჯდომარე მ. კოჩიევი) აქამდე არ შეუსწავლია საავადმყოფოს მუშაობა, არავითარი დახმარება არ გაუწევია საავადმყოფოს კოლექტივისათვის.

უმოქმედობას იჩენს განათლების ეუდმივი კომისიაც, რომელსაც მასწავლებელი ლ. გელდიაშვილი ხელმძღვანელობს.

ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს აღმასკომს 1954 წელს ერთხელაც არ უმსჯელია სოფლების კეთილმოწყობის საკითხებზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოქტომბერსა და ნოემბერში აღმასკომის სხდომა არ შემდგარა. ესეა კი ივნისის შემდეგ აღარ მოუწვევიათ.

ახმეტის რაიონული საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე გ. ბიძინაშვილი) უნდა დაინტერესდეს ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს მუშაობით.

ს. ძოწლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მასწავლებელთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რკინიგზის სკოლების მასწავლებელთა დიდი ჯგუფი ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან ნავთლუღის სადგურის № 9 საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. გ. აბაშიძე, ხაშურის სადგურის № 12 საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. გ. ვაშალომიძე, თბილისის სადგურის № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. კ. გვახარია, თბილისის სადგურის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ი. ზავივალოვა, შორაპნის სადგურის № 17 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მ. მ. ყანჩაველი, ზესტაფონის სადგურის № 16 საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. გ. მალაღურაძე, თბილისის სადგურის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ნ. ნატროშვილი, ქუთაისის სადგურის № 21 საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. გ. ნიკარაძე და სხვები, სულ 24 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი, მათ შორის გარდაბნის სადგურის № 33 დაწყებითი სკოლის გამგე ლ. ა. არევაძე, თბილისის სადგურის № 8 საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. გ. ბილინსკაია, ხარაგოულის სადგურის № 19 საშუალო სკოლის დირექტორი მ. ნ. გაბუნია და სხვები.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან ბორჯომის სადგურის № 15 საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ზ. ავალიშვილი, ქუთაისის სადგურის № 21 საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. დ. გაბუნია, ფოთის სადგურის № 28 საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. ვ. კაკულია და სხვები.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 19 კაცი, **მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“** — 23 კაცი. (საქდესი).

წერილები დაღისტნიდან

3. მეგობრობის დასაწყისი

გზა, რომელიც ჭოხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართება, ისეთივე დაკლაკნილი, აღმართ-დაღმართიანი და თავისებურად ლამაზია, როგორც დაღისტნის მთებში მიმავალი ყველა გზა.

მივდივართ სოგრატლში, გუნიბის რაიონის ერთ-ერთ მოწინავე კოლმეურნეობაში, რომელიც 1954 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო. ჩვენთან ერთად ჭოხელი მეწისქვილე აბდულა ხიზრიევიც არის. აბდულას სურს რადაც უნდა დაუჯდეს სტუმრებს თავისი „სამფლობელო“ უჩვენოს.

...გზის ქვემოთ მიმავალ ბილიკს დავადექით და რამდენიმე წუთში მთის პატარა მდინარეზე გამართულ ისეთივე წისქვილში ვიყავით, არაგვის ხეობაში მრავალი რომ გჭირნახავს.

აბდულამ დოლაბიდან ახლადგადმოყრილი, ჯერ კიდევ თბილი ფქვილი აიღო, ხელით მოსრისა და რიხით თქვა:

— აი ასეთი თეთრი ფქვილით ვამარაგებ ჩვენს სახელოვან მწყემსებს, — შემდეგ საფქვავის მომლოდინე შავთვალწარბა ქალებს მიუბრუნდა და მშობლიურ ენაზე რაღაც უთხრა.

უცხო ადამიანების გამოჩენის შემდეგ ქალებს ხმა არ ამოუღიათ, ახლა კი ერთბამად ალაპარაკდნენ. ერთმა, რომელიც ყველაზე თამამი ჩანდა, იკითხა:

— რატომ ქალები კი არ გვესტუმრნენ? ჩვენ ძალიან გვსურს ქართველი დობილების ნახვა...

მეწისქვილემ თქვა:

— თუ ძროხებს კარგად მოუვლით და იმდენსავე რძეს მოწველით, რამდენიც ალიმატმა, სალიმატმა, უმუსალიმატმა და რაზიატმა მოწველეს, პიროზას გაძლევთ ჩაგწეროთ იმ დელეგაციაში, რომელიც გაზაფხულზე ჩვენი სოფლიდან საქართველოში წავა.

ამაზე ქალებმა სიცილ-კისკისი ატეხეს. ალბათ ფიქრობდნენ საქართველოში ჩვენი გაგზავნა რა მეწისქვილის საქმეაო. აბდულამ თვალები ეშმაკურად დააბრიალა და ქალებიც გაჩუმდნენ.

განვაგრძობთ გზას, ავტომძღოლს სიმონს მანქანა ფრთხილად მიჰყავს, მარცხნივ უფსკრულებია, ხოლო მარჯვნივ დაკიდებული კლდეები, ხანდახან სახედრების ქარავანი გვხვდება. საერთოდ მთაში სახედარი ყველაზე მოხერხებულ ტრანსპორტად ითვლება.

მაინც რამდენი რამ შეცვლილა მთებში ამ ოცდაათი წლის მანძილზე. უწინ თუ შიმშილისაგან გაძვალტყავებული და რელიგიური ფანატიზმით გონებადახშული დაღისტნელი დღეში ხუთჯერ მოლას ესმენდა, ახლა შეძლებული და გონებგაბსნილი კოლმეურნე მთიელი ყურს უგდებს რადიოს, მშობლიურ ენაზე კითხულობს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ალი ცხოვრობს ჩვენი დიდი სამშობლოს საერთო, სოციალისტური ცხოვრებით. უწინ სხვა ეროვნების კაცის მთებში გამოჩენა საxიფათო და უცნაური ამბავი იყო. ახლა დაღისტნის აულებში ხშირად შეხვდებით რუსს, უკრაინელს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებსაც ადგილობრივ ინტელიგენციასთან ერთად თავიანთი წვლილი შეაქვთ ახლის მშენებლობაში. საგულისხმო ფაქტი — ერთ-ერთ აულში დაღისტნელ ბავშვებს ფრანგულ ენას ასწავლის ესპანელი ქალიშვილი ემილია სიერარა.

— სიერარა ესპანურ ენაზე მთებს ნიშნავს, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ მთებში ვმუშაობ, დაღისტანი ჩემი მეორე სამშობლოა, — ამბობს ღიმილით ემილია.

სოგრატლი!

ეს აული მაღალი მთის კალთაზეა შედუღაბებული. ქვითნაშენი სახლები, რომლებიც თანდათანობით მაღლა მიიწევენ, ერთმანეთს ისე მჭიდროდ არიან მიკრული, რომ მთელი აული ერთი მთლიანი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მართალია, თოვლი იყო და საგრძნობლადაც ციოდა, მაგრამ სოფლის მოედანზე მაინც დიდძალი ხალხი შეგვხვდა. ტრადიციული მისალმების „სალამ ალეიქუმის“ შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარის გაჯი მუსაევის სამუშაო ოთახში აღმოვჩნდით.

იწყება მეგობრული საუბარი, სოგრატლელებს, ისევე როგორც ჭოხელებს, ძალიან აინტერესებთ დუშელ მეცხოველეთა შრომისა და ცხოვრების პირობები, მათი წარმატება თუ მუშაობის ნაკლოვანებანი. საუბარში ოთახი ხალხით აივსო, გაჯიმ რომ შეატყო, ადგილი აღარ გვეყოფაო, სოფლის მშვენივრად მოწყობილ კლუბში წაგვიყვანა.

კრების გამართვას არავინ ფიქრობდა, მაგრამ პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბრგე, ახოვანმა ვაჟკაცმა საიდან აბდულაევმა ხალხს დუშელების წერილი რომ წაუკითხა და იკითხა, სიტყვა ხომ არავის სურსო, — დარბაზში ორი ათეული ხელი აიმართა.

მთაში მოხუცებს განსაკუთრებულ პატივს სცემენ, ამიტომ პირველი სიტყვა უხუცეს მეცხვარეს მიეცა.

— მე, — თქვა მან, — აგერ სადაც არის სამოცდაათი წელი შემისრულდება, მაგრამ ცხვარში მაინც დავდივარ. თურმე გული მთავარი ყოფილა კაცისათვის და სწორედ გული მაქვს მხიარული. შვილიშვილები მეუბნებიან, დაისვენეო, მაგრამ რა დამასვენებს, აი ქართველებმა შეჯიბრებაში გამოგვიწვიეს, უკეთესად ვიმუშავებ, რათა ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერი გახდეს... შემდეგ მოხუცმა ხმას აუწია და შესძახა:

— გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნია ხალხთა მეგობრობას!

დიდხანს გაგრძელდა სოგრატელელ კოლმეურნეთა კრება. სხვადასხვა ასაკისა და საქმის ადამიანები ერთხმად აღნიშნავდნენ ქართველ და დაღისტნელ მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების დიდ მნიშვნელობას.

მდიდარი მეურნეობა აქვთ სოგრატელელებს. მათ ჰყავთ ორმოცი ათასი ცხვარი და თხა, ორი ათასი ხარი და ძროხა, რვაასი ცხენი. გარდა ამისა აქვთ მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის ფერმები.

მეცხოველეობის ფერმებში შექმნილია საწარმოო ზრიგადები, მათ შორის მეცხვარეობის ფერმაში 11 ბრიგადა, სარძეო-სასაქონლო ფერმაში — 5 და თითო ზრიგადა მეფრინველეობასა და მეფუტკრეობაში, არსებობს აგრეთვე საკვებმომპოვებელი და ორი სამშენებლო-სარემონტო ზრიგადა.

საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი აღმავლობა წლითიწლობით ზრდის კოლმეურნეთა შემოსავალს, აუმჯობესებს მათს მატერიალურ კეთილდღეობას. მაგალითად, 1953 წელს თვითეულ შრომადღეზე განაწილდა 10 მანეთი ფულად, 600 გრამი ხორცი, 20 გრამი ერბო, 40 გრამი ყველი, 300 გრამი კარტოფილი და 1 კილოგრამი მარცვლეული.

1953 წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა 4.822 ათას მანეთს მიაღწია, 1954 წელს კი 5.226 ათას მანეთს. მთელი შემოსავლის 85 პროცენტი მეცხოველეობაზე მოდის.

კოლმეურნეობის კლუბში გამოფენილ სპატიო დაფას ამშვენებს უფროსი მწყემსის მაჰომედ აბდურაზაკოვის პორტრეტი. მაჰომედმა 1.446 დედაცხვარზე ასხლეტამდე 1.608 ბატკანი შეინარჩუნა და თვითეულ ცხვარზე გაძლიერებული კვების შედეგად 5 კილოგრამი მატყლი მიიღო, შრომის დამატებითი ანაზღაურების წესით მოწინავე მწყემსს ჯილდოდ 23 ბატკანი გადაეცა.

ჩვენ ვნახეთ სოგრატელელთა ახალი, მექანიზებული ფერმა. გაგვიკვირდა, როგორ აიტანეს ადამიანებმა ამ სიმაღლეზე ფერმის მოწყობილობა. მშვენივრად არის გამართული კიდული გზა. ავტოსარწყულებლები, საკვების საზარეულო. იქვეა სასილოსე კოშკი, მწველავი ქალების საცხოვრებელი და რძის გადასამუშავებელი ოთახები.

აქ შეგხვდით წარჩინებულ მწველავ ქალს გაჯიიანი ციხილოვას, რომელმაც ვულუბილი წერილი გამოგვატანა დუშელ კოლეგასთან — სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწველავ მარიამ სეთურიძესთან.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გაჯი მუსაევმა კი დუშეთის რაიონის სოფელ მაქართის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ადამ ქავთარაძეს მიმართა წერილით: — სიხარულით შევიტყეთ, რომ ჩვენს რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა და მოდით ჩვენც ერთმანეთს შევეჯიბროთო, — სწერდა იგი.

დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ბურდული მეგობრობის დროშას გადასცემს დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებს.

ფოტო ნ. დოროფეევიჩისა.

სოგრატლში შევხვდით ექიმ ქალს ხურშილოვას. იგი რამდენიმე წელს საქართველოში მუშაობდა.

— არასოდეს დამავიწყდება თქვენი ქვეყანა, მოხუცი დედა რომ აქ არა მყავდეს, აუცილებლად ისევ საქართველოში წამოვიდოდი, — გვითხრა მან.

ამ ქალის ძმას მ. ხურშილოვს მთელი დაღისტანი იცნობს, მას დაღისტნელ ოსტროვსკის ეძახიან. ფიზიკურად უმწეო კაცმა იმდენი სულიერი ძალა ჰპოვა, რომ კვლავ კომუნიზმის მშენებელთა მწყობრში დგას. მწერალ ხურშილოვის წიგნი „სულაკი მოწმე“ მკითხველთა საყვარელი ნაწარმოებია. ხურშილოვის პიესა „მძიმე დღეებში“ წარმატებით იდგმება რესპუბლიკის მრავალ თეატრში.

ამას წინათ მახაჩკალაში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი გაიხსნა.

ხალხით გაჭედილ დარბაზში გუნიბელებთან ერთად დუშეთის რაიონის წარმომადგენლებიც ისხდნენ, რომლებიც წინადღით მახაჩკალაში დაღისტნელთა მიწვევით ჩავიდნენ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბურდულმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

— დარწმუნებული ვართ, ორი მოძმე რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა იქნება ფოლადივით მტკიცე და ისეთივე წმინდა, როგორიც კავკასიონის მწვერვალთა თოვლია, ეს მეგობრობა, რომელიც მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება, დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს საერთო წარმატებას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე დასახული ამოცანების პირნათლად შესრულებაში, — თქვა მან და ქართველ კოლმეურნეთა წარგზავნილი მეგობრობის წითელი დროშა გუნიბის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მ. დიბიროვს გადასცა.

დიდი მეგობრობა დაიწყო!

ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ქართველ და დაღისტნელ მეგობრებს ახალ. 1955 წელს!

თ. კუნჭულია, ა. თოდუაძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები

ბ. ჯაველიძე.
დუშეთის რაიონული გაზეთის „სტალინური გზით“ რედაქტორი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გულრიფშის რაიონის სოფელ ჩხალთის რვაწლიანი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე სწერდა რედაქციას სოფლკორი.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა გულრიფშის მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას, რომელიც გვატყობინებს: ჩხალთის რვაწლიანი სკოლის დირექტორ პ. გელავაზე შემოსული მასალების შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის ბიურომ. სკოლის დირექტორს პ. გელავას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებისა და მთელ რიგ სხვა დამახასიათებელთა დაშვებისათვის გამოეცხადა საყვედური საარიცხვო ბარაბაში შეტანით, ამასთან ის მოხსნილ იქნა ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციის მდივნობიდან. რაიკომის ბიუროომ დასახა სკოლის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ყამირზე საღამქროდ, ახალგაზრდებმ!

★

ჩამოდით, მეგობრებო!

პარტიის მოწოდებით ასი ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი გახდა ყამირი და ნასვენი მიწების პირველი ახალმოსახლე. მეც, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის კურსის დამთავრებისთანავე ყაზახეთში გამოვემგზავრე კუსტანაის ოლქის ოქტომბრის მტს-ში.

აქ ჩამოსულ მოხალისეებს ერთი სურვილი გვამოქმედებდა — გაგვეტეხა მეტი ყამირი და პირნათლად შეგვესრულებინა პარტიისა და მთავრობის დავალება.

მტს-მა გადაჭარხებით შეასრულა 1954 წლის დავალება. გეგმით გათვალისწინებული 35.000 ჰექტარის ნაცვლად ათვისებულია 38.000 ჰექტარი ყამირი.

დიდი მუშაობა შესრულდა ახალი დასახლებული პუნქტების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, კლუბების, სამავშვო ბაღების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მშენებლობის დარგში. პარტია და მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ ახალმოსახლეებზე.

საქართველოდან წამოსული ახალგაზრდები ღრმა კმაყოფილებით აცხადებენ:

— ჩვენს მშობლიურ კუთხეში, სადაც გავიზარდეთ და დავვაქაცდით, პატივისცემით გვიგონებენ, გვაფასებენ, გულთბილ წარათეს გვწერენ და მრავალ საჩუქარს გვიგზავნიან. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენს ნდობას, თქვენს დაფასებას გავამართლებთ.

მიმდინარე წელს ჩვენს მტს-ს ახალი გადიდებული დავალება მიეცა. ჩვენ უნდა მოვხნათ 50.000 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა. მძლავრი ტექნიკა, რომელიც ჩვენს ხელთ არის, და მტს-ის მექანიზატორთა გმირული შრომა იმის საწინდარია, რომ ეს დავალებაც გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

ამავე დროს ორიოდე სიტყვით მინდა მივმართო ჩემი მზიური საქართველოს კომკავშირელებს და ახალგაზრდებს, ჩემს საყვარელ მეგობრებს. მართალია, ჩვენ ბევრი მიწა მოვხანით, ყამირი ავაყვავეთ, მაგრამ აქ ჯერ კიდევ უდიდესი მასივები, თვალუწვდენი ველმინდვრები რჩება, რომლებსაც ადამიანის ხელი ჯერ არ მიჰკარებია. ჩამოდით, მეგობრებო, ჩვენთან! შეერთებული ძალღონით შევუტიოთ ყამირს.

ლ. ღუღუნიშვილი,
ყაზახეთის სსრ კუსტანაის ოლქის ოქტომბრის მტს-ის ინჟინერ-მექანიკოსი.

მივდივარ ოჯახით

დიდი შემოქმედებითი მუშაობაა ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით ციმბირში, ყაზახეთში, ურალზე. საბჭოთა ადამიანები სახეს უცვლიან მხარეებს, ნაყოფიერ ველებად აქცევენ ყამირებს. თვითეული მოწინავე საბჭოთა მოქალაქის ვალია თავისი წვლილი შეიტანოს სოფლის მეურნეობის აღმავლობის დიდ საყოველთაოსახალხო საქმეში, მხარში ამოუდგეს იმ დებსა და ძმებს, რომლებმაც პირველად დაჭკრეს ბარი ახალ მიწას, დასცეს კარვები და ყამირის პირველი ხელტი გადააბრუნეს.

მე ანგარიშწარმოების მუშაკი ვარ, ბუხჰალტერი. ბუხჰალტრები კი სჭირდებათ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

როცა პირველად ჩემს ვაჟს, უშანგის, რომელსაც თვრამეტი წელი შეუსრულდა, გავანდე ჩემი განზრახვა ყამირ მიწებზე წასვლის შესახებ, მომეხვია და მაკოცა:

— „მარტო არ დაგტოვებ, დედილო, ერთად წავიდეთ, ერთად დავძლიოთ დაბრკოლებები“.

დაე ჩვენმა შვილებმა ნახონ სიძნელეთა დაძლევაც და შრომის სიხარულიც!

მ. მუნჯიშვილი,
მარმარილოს დამმუშავებელი ქარხნის ბუხჰალტერი.



ყაზახეთის სსრ ჯარაულის მტს-ში კიევის ოლქიდან ჩასულ ტრაქტორისტთა ახალგაზრდული ბრიგადა მტს-ის ეზოში.

ფოტო ი. ბუდნევიჩისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ყაზახეთის სსრ კოკჩეტავის ოლქის რუზაევკის მტს-ის ტრაქტორისტი ა. თოფჩიანი (ზის მარჯვნივ) ეხაუბრება ახალგაზრდების ჯგუფს, რომელმაც სურვილი განაცხადა წავიდეს ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

★

მოხალისეთა გულის ხმა

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტში. დედაქალაქის ყოველი კუთხიდან მოდიან და მოდიან ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებსაც გულში ჩასწვდათ მშობლიური პარტიის მოწოდება გაემგზავრონ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

— აქ სად იღებენ განცხადებებს? — ხმამაღლა იკითხა კუნთმაგარმა ჭაბუკმა, და როცა გოგონამ მარჯვენა კარზე მიუთითა, იგი საჩქაროდ შევიდა დიდ და ნათელ ოთახში. საქალაქო კომიტეტის მდივანი მაგიდას უჯდა და ბეწვეულის დამმუშავებელი ფაბრიკის კომკავშირელს ლიუდმილა დიდიკა ესაუბრებოდა. ქალიშვილს ლოყები ასწითლებოდა. ეტყობოდა ღელავდა.

— განა იქ ბუხჰალტრები საჭირო არ არიან? — ცხარობდა იგი. — ახალმოსახლეთა გმირული შრომა, ამ შრომის უხვი ნაყოფი ხომ აღრიცხვას მოითხოვს. და მეც, ბუხჰალტერს, იქ მინდა წავიდე.

კომიტეტის მდივანი ცდილობდა დაეფარა ის შინაგანი კმაყოფილება, რომელსაც ამ ნაზი ქალიშვილის პატრიოტული სიტყვები იწვევდა მასში.

— ყამირზე მუშაობა ადვილი როდია, იქ სიძნელეები შეგხვდებათ, ლიუდმილა. გიფიქრიათ ამაზე?

— სიძნელეებით ნუ მაშინებთ. როცა პარტია მოგვიწოდებს, მე მზად ვარ გადავლახო ყოველი სიძნელე.

— კარგი, წადით, თქვენს განცხადებას კომიტეტი განიხილავს.

ჭაბუკმა პატივისცემით გააყოლა თვალი მიმავალ ქალიშვილს. შემდეგ კომიტეტის მდივანს მიუბრუნდა და განცხადება გადასცა. მდივანმა სწრაფად ჩაიკითხა სუფთა ქაღალდზე გამოყვანილი სიტყვები:

„ალკა თბილისის საქალაქო კომიტეტს. კომკავშირელ ვახტანგ არტემისძე ბარბაქაძის

განცხადება

გთხოვთ გამგზავნოთ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონში. პარტიამ და მთავრობამ ახლა დასახეს ამოცანა — 1956 წელს ასათვისებელ მიწებზე 28-30 მილიონ ჰექტარამდე გაადიდონ ნათესი ფართობები. ეს სხვადასხვა სპეციალობის მუშაკთა დიდ არმიას მოითხოვს. კომკავშირელის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა იყოს ამ არმიის მებრძოლთა რიგებში. მე მექანიკოსად ვმუშაობ, მაგრამ გული ყამირი მიწებისაკენ მიმიწევს, მინდა ჩემი ცოდნა იმ ტექნიკის გამოყენებას მოვახმარო, რომლითაც მთავრობამ უხვად აღჭურვა ყაზახეთისა და ალტაის ახალმოსახლენი. ვიმუშავებ მთელი ენერგიით და გავამართლებ თქვენს ნდობას“.

კომიტეტის მდივანმა თავით ფეხებამდე შეათვალიერა ჭაბუკი. იგი იდგა ამაყად, თავის ძალებში დარწმუნებული.

— შეუპოვრობა! — ჩაილაპარაკა მდივანმა. მას მოაგონდა დიდი სახელმწიფო ბოღვაწის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ტექნიკა გვაქვს, მიწა კარგია, ცოდნა გვაქვს და მეტი გვექნება. მაშ რაღაა საჭირო? — შეუპოვრობა“.

— და აი შეუპოვრობაც ამ ადამიანებშია, — ფიქრობდა მდივანი, — შეუპოვრობა, რომელიც დაძლევს ყამირის ათვისების ძნელს საქმეს. კომიტეტის მდივნის მეხსიერებაში აღდგა იმ განცხადებების ტექსტი, რომლებიც დღეს მიიღო:

„ვეხმაურები პარტიის მოწოდებას. გთხოვთ ჩემს მეუღლესთან — მაია ვალენტინის ასულ ქივიაგინასთან ერთად გამგზავნოთ ყამირი მიწების ასათვისებლად. გვსურს ჩვენი მცირე, მაგრამ ერთგული შრომა შევუერთოთ მძლავრი სოციალისტური საშობლოს დიდ საქმეებს. მექანიკოსი ა. ქივიაგინი. 7/I-1955 წ.“.

„გთხოვთ გაგვგზავნოთ ყაზახეთში ყამირი მიწების ათვისებაზე. ვმუშაობთ თბილისის კავშირგაბმულობის სახელოსნოში, სპეციალობით ვართ ტელეფონის ხელოსნები. ვლადიმერ რაფიელის-ძე გაბაშვილი, შოთა იასონის-ძე მიქაძე“.

„ჩვენ, კომკავშირელები ალექსანდრე გლოტოვი და ვერა ბაინდუროვა, სიხარულით ვეხმაურებით კომუნისტური პარტიის მოწოდებას და სურვილს ვაცხადებთ წავიდეთ ყამირი და ნასვენი მიწებას ასათვისებლად. ვივდიკართ შვილით — გეურქით, რომელსაც 3 წელი შეუსრულდა. ვფიქრობთ მთელი ჩვენი სული და ენერგია ჩავაქსოვოთ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში“.

კომიტეტის მდივანს მოაგონდა კომკავშირელი ლუიზა ვლადიმერის ასული ბაზაძე, ერთ-ერთი სამშენებლო სამმართველოს პირველი სამშენებლო უბნის ახალგაზრდა კალატოზები იანკო სარუხანიანი, ზავენ პოღოსიანი, ვალერიან მანგასაროვი, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ვაგონშემკეთებელი სახელოსნოს უფროსი ოსტატი ვ. ბოგდანოვი, ამწყობი ზეინკალი ვ. კაჩუანოვი, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ წავიდნენ ყაზახეთში. ისინი სიტყვას იძლევიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ უახლოეს დროში ყამირი და ნასვენი მიწები ნაყოფიერ, აყვავებულ მხარედ გადააქციონ.

მდივანმა განცხადება მაგიდაზე დადო და ბარბაქაძეს მიმართა:

— პირობები იცით? მიხვალთ, ადგილზე არაფერი დაგხვდებათ, არც სახლი, არც ბაღი. ცარიელი ველი — ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოთ. გატეხოთ ყამირი, აშენოთ სახლები, სკოლები, სასადილო...

— სიძნელეებს გადავლახავთ, — ეთანხმება ვიქტორი, — ქორწილში ხომ არ მივდივართ!..

მდივანი კი იღიმება:

— დიახ, ახალგაზრდა პატრიოტთა შეუპოვრობა ყოველგვარ სიძნელეს გადალახავს!

მ. არუშიძე.

ქარაფშუტული ★ ბიბლიოთეკა

პირველი წარმატებები

ჩრდილოეთ ყაზახეთში მოხალისეთა იმ დიდ ჯგუფს გავყევი, რომელიც პარტიის პირველი მოწოდებისთანავე შარშან თბილისიდან წავიდა. მანამდე თბილისში ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში ვმუშაობდი შოფრად.

გაზაფხული იყო, როცა კოკჩეტავის ოლქის რუზაევკის მტს-ში ჩავედი. ჩემთან იყვნენ ცოლი ნადეჟდა და შვილი ავრორა. პირველ ხანებში გვაწუხებდა უბინობა, სიცივე... მაგრამ მალე ახალმოსახლეებმა ავაგეთ ფანერი სახლები, დავდგით ბოღლები, ავაშენეთ გარაჟი... ნორმალურად დავიწყეთ ცხოვრება და მუშაობა.

მე ტრაქტორი „დტ-54“ ჩამბარეს. ცოლმა კომბაინზე დაიწყო მუშაობა მისაბმელი მანქანის მემანქანედ, ხოლო შვილი სკოლაში, მეშვიდე კლასში სწავლას განაგრძობს.

ადამიანს ძალღონეს მატებს იმის შეგნება, რომ იგი თავისი პატარა შრომით დიდ სახალხო საქმეში მონაწილეობს, რომ მის შრომას თვალყურს ადევნებს და აფასებს მთელი ქვეყანა. ამ შეგნებამ გამოიკეცა ენერგია. დავალებას მუდამ გადაჭარხებით ვასრულებდი, დღეში 10 ჰექტარზე მეტს ეხნავდი. ცოლიც ბეჯითად მუშაობდა და ორთავემ 525 შრომადღე გამოვიმუშავეთ.

ამჟამად შვებულებაში ვარ. ჩამოვედი თბილისში, სადაც დედა და ძმა დავტოვე. დასვენების შემდეგ ჩემი ცოლშვილით კვლავ რუზაევკას მივაშურებ და უფრო მეტი ენერგიით შევუდგები შრომას ყამირი მიწების ახალი მასივების ასათვისებლად.

ახლა, როცა ვაჯამებ ჩემს განვლილ მუშაობას, გული სიხარულით მევსება. ვამაყობ, რომ ჩემი შრომით მონაწილეობა მივიღე იმ ასობით მილიონი ფუთი პურის მოყვანაში, რომელიც ახალი მიწების ათვისებამ ჩვენს დიად ქვეყანას შემატა.

მოვუწოდებ თბილისის ახალგაზრდებს წამოვიდნენ ჩვენთან ყამირ მიწებზე, რომ შეერთებული ძალღონით გავაჩაღოთ ბრძოლა ახალი ფართობის ასათვისებლად.

ა. თოფჩიანი,
ჩრდილოეთ ყაზახეთის კოკჩეტავის ოლქის რუზაევკის მტს-ის ტრაქტორისტი.

დავსახლდეთ ახალ მიწებზე

პირველად ჩვენ, მე და ჩემი მეუღლე ძალიან დიდხანს ვფიქრობდით, სანამ საბოლოოდ გადავწყვეტდით ყამირ მიწებზე გამგზავრებას. ადვილი როდია იქ წასვლა, მშობლიურ ადგილს მოწყვეტა მარტოხელა კაცისათვის, და მით უმეტეს, ოჯახისათვის. — მაგრამ ვაჟკაცობაც სწორედ ის არის, — ვფიქრობდით ჩვენ — რომ დაძლიო სიძნელე.

ჩვენ იქ მივდივართ არა სტუმრად, არამედ ვაპირებთ სამუდამოდ დავმკვიდრდეთ, საშვილიშვილოდ დავდგთ ბანა.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ყამირი და ნასვენი მიწების რაიონებში გამოადგებათ. ჩემი ცოლი, ევგენია დავითის ასული ბეჟანიშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს მშენებელთა ერთწლიანი კურსები და ამწეს მეოთხე თანრიგის მემანქანეა, იქ მშენებლობებზე იმუშავებს. მე ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მისწავლია და როგორც სპეციალისტი საჭირო ვიქნები ყამირზე უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

მოუთმენლად ველით იმ დღეს, როცა თბილისის ნადგურიდან დაიძრება მოხალისეთა პირველი ეშელონი.

კომკავშირელი ბ. კვაშილავა.



ალტაის მხარის ყამირ მიწებზე მოყვანილი პურით სავსე კარჩაპები ბარნაულის ელევატორის ნავმისადგომთან.

ფოტო ვ. ნიკოლაევისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ანატოლი ნატოჩი

ანატოლმა საწოლზე წამოიწია, მიიხედ-მოიხედა, უნდოდა ვინმესათვის ხმა გაეცა, მაგრამ ოთახში აღარავინ დახვდა, მისი ამხანაგები სადღაც გაკრეფილიყვნენ. ჩამოსაკიდებელზე მაზუთით გაპოხილი სპეცტანსაცმელი ეკიდა. გამპარანჭულან, — გაიფიქრა, — ალბათ კლუბში წავიდნენ. — ნეტავ ხომ არ ჩამეძინა? მაშ ისე როგორ გავიდნენ, რომ ვერაფერი გავიგე? არა, ხმას როგორ არ გამცემდნენ, მაგრამ, ჩანს ფიქრებში ვიყავ წასული.

უკანასკნელ ხანებში დურგალი ანატოლი ნატოჩი მართლაც ბევრს ფიქრობდა, რაღაც ძნელად გადასაწყვეტი აზრი უტრიალებდა თავში.

საერთო საცხოვრებელში თოქმის ცხელოდა, ფანჯრები დაორთქლილიყო, ანატოლი წამოდგა, ფანჯარა ოდნავ გამოაღო, გარეთ შებინდებულიყო, ნესტიანი ცივი ჰაერი შემოიჭრა ოთახში. ჭაბუკს გააჟრჟოლა, ანგარიშმიუცემლად მიხურა ფანჯარა.

დაორთქლილ მინაზე, რომელზეც თვალები მიეშტერებინა ანატოლს, უცებ გადაიშალა ციმბირისა და ყაზახეთის თოვლით გადაღესილი, უკაცრიელი ტრამალები, თავაწყვეტილი ქარიშხალი ისე აქანავებდა სოკოებივით მიმფანტულ კარვებს, როგორც აფრებს ზღვაზე ამტყდარი გრიგალი. — ანატოლს ტანში გააჟრჟოლა. უხერხულობა იგრძნო. ნუთუ ასეთი მცივანი ფიქრობს ციმბირსა თუ ალტაიში წასვლას.

იგი ზოგიერთებივით ზედმეტ ფუფუნებასა და ნებიერობაში არ არის გაზრდილი. ჯერ კიდევ ადრე ბავშვობაში გარდაეცვალა მშობლები, სტარომინსკიდან (ცრასნოდარის მხარე), სადაც იგი დაიბადა, ოთხი წლის ანატოლი წამოიყვანეს და ნოვომინსკის სობავშვო სახლში იზრდებოდა. სახელმწიფომ გაუწია მშობლობა.

კარგად რომ წამოიზარდა, დურგლობა ისწავლა, არასოდეს არ უმინდებოდა სიძნელეებს. პირიქით, სწორედ სიძნელეებთან ბრძოლის დაუცხრომელმა სურვილმა ჩააყენა თვრამეტი წლის ყუბანელი კაზაკი რუსთავის მშენებელთა რიგებში.

ეს იყო 1947 წელს. იმ დროს მთელი ძალით ჩაღდებოდა საქართველოს მეტალურგიული გიგანტისა და ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლობა. სამ წელს დურგლების ბრიგადას ედგა სათავეში. მერე კი არმიაში იყო, მხედრული წრთობის დიდი სკოლა გაიარა, რადისტობას დაეუფლა.

ახლახან ჯარიდან დაბრუნდა. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, ძველ ხელობას, დურგლობას დაუბრუნდა.

როცა კვლავ გახშირდა ლაპარაკი ყამირი და ნასვენი მიწების შესახებ, როცა კომკავშირი პარტიის ახალი საბრძოლო დავალების შესრულებას შეუდგა, ანატოლს მოუსვენრობა დაეტყო, ერთთავად ფიქრობდა. ჯერ არავის ანდობდა გულის ხვაშიადს, იმ დღეს კი საბოლოოდ გადაწყვიტა: რადისტად ვიმუშავებ, ჩემი ადგილი იქ არისო!

ადგა, ჩაიცვა, ხმის გამცემს ეძებდა. გვიან იყო, მაგრამ იქნებ ვინმე მაინც იყოს ქარხნის კომკავშირის კომიტეტშიო, იქ შეიარა.

ანატოლმა მოსვლის მიზეზი უამბო მდივანს.

— კომკავშირელი ხარ?

— არა.

— როგორ? საბავშვო სახლში აღიზარდე, რუსთავს აშენებდი, არმია მოიარე და კომკავშირში არ ყოფილხარ? შეუძლებელია.

— ისეა და რა ვქნა!

* * *

ძერჟინსკის სახელობის კლუბი ხალხით არის გაჭედილი. ერთი ვერ ასწრებს ტრიბუნიდან ჩამოსვლას, რომ მეორე ადის.

დარბაზს აზანზარებს ტაშის გრიალი. გზას ულოცავენ იმათ, ვისაც ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად წასვლა გადაუწყვეტია.

პარტერის პირველ რიგში, შუაში რამდენჯერმე სცადა წამოდგომა ერთმა ტანადმა, ქერა ახალგაზრდამ. მაგრამ ყოველი წამოწევის შემდეგ მუხლი უცახცახებდა, ათრთოლებულ ხელს უკან გადავარცხნილ თმაზე გადაისვამდა და ჯდებოდა.

— ვერ ბედავ? — შეეკითხა გვერდით მჯდომი შავგვრემანი ჭაბუკი.

— არ შემიძლია. ვღელავ, თუმცა — ჩაქნია ხელი ვაუმ — მე ჩემი სიტყვა უკვე ვთქვი!

ამის შემდეგ მას აღარც უცდია გამოსვლა.

ეს იყო ანატოლი ნატოჩი.

ს. ხარაზიშვილი.

იოსებ ნონეშვილი

ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი

(ციკლიდან „ყაზახეთის ველებზე“)

თვითმპყრობელმა თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებს ყაზახეთშიც ასახლებდა. ხობდის რაიონში ტრაქტორმა კაცის ჩონჩხი და ბორკილები ამოიტანა.

თითქოს გულში აგიფეთქდა მეხი,
წარბი შეჰკარ, მოგელრუბლა სახე.
ბელტთა შორის, როცა ყამირს ტეხდი,
კაცის ჩონჩხი და ბორკილი ნახე.

—ნუ იწვიმებ!—ვინ უბრძანოს ღრუბელს?...
დაგამძიმდა ცრემლით თვალთა უპე.

სად შეწყდება სიცოცხლის გზა გრძელი,
სადაურსა სად წაიყვან ბედო...
ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი,
ვისაც ფეხზე ეგ ბორკილი ედო.

ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი,
შეებრძოლა მეფის ადათ-წესებს,
ჩამოჰპარსეს გლეხკაცს ცალი წვერი,
შებორკილი ციმბირს გაამწესეს.

იქნებ გულში ვერ დაფარა ოხვრა,
აუჯანყდა ბატონს ნამუსმოხდილს
და მიტომაც დაურჩინეს ოხრად
გუთნეული და ჩალური ქოხი.

ყაზახეთში სირ-დარიის ახლოს
შეჯაჭვული მოიყვანეს ალბათ.
ბარდაუკრეულ ველებსა და ახოს
გლეხი კაცი გახედავდა ხარბად.

გახედავდა ყამირს ცვარში ნაბანს,
ინატრებდა გამოკვერილ სახნისს
და ყეევარ ხარს — ნიშასა და წაბლას,
წინ გარეკილს შვილიშვილის სახრით.

ვაჰთუ ველარ აუვიდა ფიქრებს,
თვალწინ ედგა ღარიბ ქოხის ბანი.
ხუნდთა ხმაში ჩაესმოდა იქნებ
სახნისის ხმა და ღირღიტას ბანი.

მაგრამ ვაგლახ, ნატვრაც ჰგავდა ზღაპარს,
ყამირებზე დაღლილივით მიწვა.
შებორკილი, შეჯაჭვული პაპა
მიიბარა ყაზახეთის მიწამ.

ცრემლით არვინ დაუნამა კალთა,
ველარ გახდა წყვილი სანთლის ღირსიც.
ვარსკვლავებმა გაუნათეს თავთან
და სუდარად გადეფარა ნისლი.

სადაურსა სად წაიყვან ბედო,
სიცოცხლის გზას სად არ გადუკეტავ.
საფლავშიაც ბორკილები ედო,
მკვდარი სადღა წავიდოდა ნეტავ?!.

დასცქეროდი ძვლებს და რკინის ნაჭერს,
შემდეგ უხმოდ მიაშურე საკენ.

— დასცხე ბიჭო! ამ ყამირში ყრია
პაპის ძვლები, რომ დაგზაფრა უცებ.
— დასცხე ბიჭო! — მაგ ტრაქტორის გრიალს
საქართველოს მინდორ-ველიც უსმენს.

მზე იხილონ გათოშილმა ძვლებმა.
— დასცხე ბიჭო! — პაპის ხმაა ალბათ...
სახნისის ხმა საფლავშიაც სწვდება,
ბელტი ბელტზე მიაწვინე მარდათ.

თავისუფლად, ბიჭო, პაპაშენი
გუთანშიაც ვერ უბამდა ხარებს,
შენ კი გინდა ეს უსაზღვრო ველიც
ააყვავო, როგორც შენი მხარე.

დე, ყამირი აღარ დარჩეს არსად,
გვერდით შენებრ ვაჟკაცები გყვანან.
წინაპართა ოცნებათა მსგავსად
კიდით-კიდე შრიალებდეს ყანა.

ყაზახეთი, 1954 წ.

ივანე ნაცვლიშვილი

არასოდეს დავიწყდება ივანე ნაცვლიშვილს შრომითი რეზერვების ინდუსტრიულ ტექნიკუმში გატარებული დღეები, მჩქეფარე ცხოვრება, ბეჯითი სწავლა, პრაქტიკუმები სახელოსნოში, ფართოდ გაჩაღებული საწრეო მუშაობა, შეჯიბრებები სპორტულ სექციებში. მაშინ ის ოცენბობდა ამაზე, თუ როდის დამთავრებდა ტექნიკუმს, როდის მივიდოდა სახელოსნო სასწავლებელში.

მაგრამ მოხდა ისე, რომ მუშაობა დაიწყო არა სახელოსნო სასწავლებელში, სადაც მას საწარმოო სწავლების ოსტატის თანამდებობა უნდა დაეკავებინა, არამედ სხვაგან — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში — ცვლის ოსტატად. ერთხანს წუხდა, რომ ვერ აუსრულდა გულის წადილი, მაგრამ შემდეგ ისე შეუყვარდა თავისი ახალი სამუშაო, რომ არაერთხელ უთქვამს კურსდამთავრებული ამხანაგებისათვის, ჩემს სპეციალობას არც ერთ სპეციალობაში არ გავცვლიო.

მის ამ სიტყვებში, და განა მარტო სიტყვებში, თავდაჭერაში, გამოხედვაში, იგრძნობა ფიერული სიამაყე, თავისი პროფესიისადმი დიდი სიყვარული. — „განა პატარა საქმეა, — იცის ხოლმე თქმა, — ჩვენ მიერ შეკეთებული ტრამვაის ვაგონები ასეულათასობით მგზავრს ემსახურება“.

ამას წინათ, როცა სამმართველოს კომკავშირის კომიტეტში სიტყვა ჩამოვარდა ყამირი მიწების ათვისების რაიონებში წასულ ახალგაზრდებზე, კომიტეტის მდივანმა უამბო მათ, თუ რა უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია შარშან ახალგაზრდებში პარტიის მოწოდებამ წასულიყვნენ ყამირი მიწების გასატეხად, დაემკვიდრებინათ სიცოცხლე ციმბირის, ყოლიასპირეთისა და ყაზახეთის ტრამალებზე.

— მარტო საქართველოში მაშინ 8 ათასზე მეტი განცხადება შემოვიდა, — განაგრძობდა მდივანი, — მაგრამ ყველას თხოვნა როდი დააკმაყოფილეს, რვაში ერთს, სუფთად სოს არჩევდნენ და ისაც გზაჭრდნენ. დედაქალაქმა თითქოს ეკვესსი ახალგაზრდა წარგზავნა. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ათეულათასობით ჩასულ ახალგაზრდებთან ერთად მათ მოკლე ვადებში მოხნეს, გააცოცხლეს, უბმოსავლიანად აქციეს ჩვიდმეტ მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი. ჩვენმა სამშობლომ ახალი მიწებიდან უკვე მიიღო პირველი ასობით მილიონი ფუთი მარცვლეული. გაჩნდნენ ახალი დაბები, ამუშავდნენ სახელოსნოები...

ამ სიტყვებმა მსმენელებში პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია. ახალგაზრდა სპეციალისტების ერთმა ჯგუფმა იქვე განაცხადა: მზად ვართ წავიდეთ იქ, სადაც პარტია მოგვიწოდებს!

— ვინო, რა თვალი გაგიშტერდა, ეისზე ფიქრობ? — უთხრა მდივანმა.

— არაფერია, არაფერი...

ვანომ კი იმ დროს გონების თვალით უკვე მოიარა ალტაის მხარე და ციმბირი. წარმოიდგინა ციმბირის ზამთარი. გათოშილი ყარაგი, ქოხებში გახვეული ჭაბუკები. ერთ მათგანს ხის დაბალი სკამი დაუდგამს წინ, გაყინულ თითებს მალიმალ იორთქლავს, ალბათ წერილს წერს. მეორე, დასაკეც საწოლზე წამოწოლილი, წიგნს კითხულობს, დროდადრო ქარს მიუგდებს ყურს, ისევ განაგრძობს კითხვას. ვანომ თითქოს თვალიც მოჰკრა წიგნის წარწერას: „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. დანარჩენები თავიანთი საქმით აყვნენ გართული.

ზმანება რომ გაქრა, ნაცვლიშვილმა დინახა, რომ მისი ამხანაგები რადაცას წერდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ალკა თბილისის კომიტეტს ატყობინებდა: ჩვენთან შემოვიდა ახალგაზრდების განცხადებები, ყამირ მიწებზე წასვლას მოითხოვენ.

სხვა განცხადებებთან ერთად იყო ცვლის უფროსის ივანე ნაცვლიშვილის თხოვნაც.

საღამოს ვანო სახლში ბრუნდებოდა და ფიონებდა განცხადების შინაარსს:

...თუ ჩემი სპეციალობა ყამირი და ნასვენი მიწების რაიონში საჭიროა, და მე ვფიქრობ, რომ აუცილებლად საჭირო იქნება, განსაკუთრებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, გთხოვთ გამაგზავნოთ!

ს. გიგოლაშვილი.

გაზეთ „დეილი უორკერის“ 25 წლისთავი

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). დღეს ინგლისის მუშათა კლასის ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „დეილი უორკერი“ აღნიშნავს თავის 25 წლისთავს. გაზეთი ბეჭდავს მისასალმებელ დეპეშებს, რომლებიც მიიღო ამ თარიღის გამო „პრავდისაგან“, „ენენმინენიბაოსა“ და ინდოეთის გაზეთ „ნიუ ეიჯისაგან“.

„დეილი უორკერის“ საიუბილეო ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე გაზეთის რედაქტორის კემპბელის სტატია, რომელშიც შეჯამებულია გაზეთის 25 წლის მუშაობის ზოგიერთი შედეგი და დასახულია მომავლის ამოცანები.

„ინგლისის პარლამენტში და საფრანგეთის ეროვნულ კრებაში კენჭის ყრის მიუხედავად,— წერს კემპბელი, — ჯერ კიდევ შესაძლებელია ჩავშალოთ დასავლეთ გერმანიის არმიის აღორძინება. ხმები, რომლებიც ამერიკის ზემოქმედებით მიკემეულია საფრანგეთის ეროვნულ კრებაში, ვერ შეაჩერებს მოძრაობას დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ. საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისსა და იტალიაში ეს მოძრაობა კიდევ უფრო მაღალ დონეს აღწევს“.

„ერთად მოქმედებით, — ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, — საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის ხალხებს შეუძლიათ წელს მიაღწიონ უდიდეს გამარჯვებებს მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

ჯოუ ენ-ლაის და ჰამარშელდის შეხვედრა

პეკინი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი დღეს მესამედ შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაგ ჰამარშელდს.

ირანის მეჯლისმა განიხილა საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმება

თეირანი, 10 იანვარი. (საკდესი). გუშინ ირანის მეჯლისმა პირველი წაკითხვით განიხილა საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმება ფინანსებისა და სასაზღვრო საკითხების მოწესრიგების შესახებ და მეორედ განხილვისათვის გადასცა კომისიებს.

საფოსტო-საგელეგრაფო კავშირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის

პეკინი, 9 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 1 იანვრიდან საფოსტო-სატელეგრაფო კავშირი დამყარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

ფინეთის მოსახლეობის რიცხვი

ჰელსინკი 9 იანვარი. (საკდესი). ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1955 წლის 1 იანვარს ფინეთის მოსახლეობა შეადგენდა 4.215 ათას კაცს.

ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობენ დაუბრუნონ იაპონიას კუნძულები ოკინავა და ოგასავარა

სინხუას სააგენტოს ცნობა

პეკინი, 9 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

როგორც კოდო ცუსინის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, ამერიკის ხელისუფლებამ უარი თქვეს დაუბრუნონ იაპონიას კუნძულები ოკინავა და ოგასავარა, მიუხედავად იაპონიის არაერთგზის თხოვნისა.

როგორც აღნიშნავენ, ეს უარი აიხსნება „სტრატეგიისა და უშიშროების“ მოსაზრებებით, რაც, როგორც ცნობილია, მიმართულია ჩინეთისა და აზიის სხვა შვიდობისმოყვარე ქვეყნების შვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. შეერთებულმა შტატებმა უარი უთხრეს აგრეთვე კუნძულ ოგასავარის ყოფილ მცხოვრებლებს, რომლებიც ამჟამად იაპონიაში არიან, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის რაოდენობა

ვენა, 8 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ იმოწმებს ვისბადენის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებს და აცხადებს, რომ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის რაოდენობა ამჟამად 49.652 ათასს შეადგენს.

ტაიფუნის შედეგები ფილიპინებზე

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო მანილიდან იუწყება, რომ, არასრული მონაცემებით, ძლიერი ტაიფუნის შედეგად, რომელმაც ფილიპინების კუნძულებს გადაუარა, დაიღუპა 38 კაცი, 12 კაცი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ზარალი თითქმის 2 მილიონ დოლარს უდრის.

უმუშევრობის ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ვაშინგტონისა და შრომის სამინისტროებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური მონაცემები, რომელთა თანახმად გასული წლის დეკემბერში მომუშავეთა რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში მილიონზე მეტით შემცირდა.

გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის IV ეროვნული კონფერენცია

რომი, 9 იანვარი. (საკდესი). დღეს რომში გაიხსნა იტალიის კომუნისტური პარტიის IV ეროვნული კონფერენცია. კონფერენციაზე ჩამოვიდა 1.143 დელეგატი იტალიის სხვადასხვა ოლქიდან და მრავალი სტუმარი.

კონფერენციას ესწრებიან საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, გერმანიის, ბულგარეთის, შვეიცის, ბელგიის, რუმინეთის, ავსტრიის, ფინეთის, შვეიცარიის, მექსიკის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები.

კონფერენცია გაიხსნა პარტიის სამდივნოს წევრის ედოარდო დ'ონოფრიოს მოკლე შესავალი სიტყვით. შემდეგ მისალმებები წარმოთქვეს იტალიის კომუნისტური პარტიის რომის ფედერაციის მდივანმა ნანუციმ და იტალიის სოციალისტური პარტიის მდივნის მოადგილემ მორანდიმ.

იტალიის კომუნისტური პარტიის IV ეროვნულ კონფერენციას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უძღვნის იტალიის კომუნისტური პარტიის IV ეროვნულ კონფერენციას.

მუშათა კლასის ერთიანობისათვის, ყველა მშრომელთა დემოკრატიული უფლებებისა და საარსებო ინტერესებისათვის დაუცხრომელი ბრძოლით იტალიის კომუნისტურმა პარტიამ ხალხის ფართო მასების დიდი სიმპათია და სიყვარული მოიპოვა. კომუნისტებს ეკუთვნით წამყვანი როლი მილიონობით იტალიელ პატრიოტთა დარაზმაში იტალიის მშვიდობიანი ცხოვრების, ეროვნული ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ უსურვებს იტალიის კომუნისტურ პარტიას წარმატებებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებაში დემოკრატიისა და იტალიის პროგრესისათვის, ახალი დამაგრებელი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სიტყვა მოხსენებისათვის თემაზე „კომუნისტების ბრძოლა თავისუფლების, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის“ ეძლევა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს პალმირო ტოლიატის.

ტოლიატი, რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ, თავისი მოხსენების დასაწყისში შეეხო წარმატებებს, რომლებსაც იტალიელმა კომუნისტებმა პარტიის მე-7 კონგრესის შემდეგ მიაღწიეს მშვიდობისათვის, მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ ტოლიატი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და განაცხადა, რომ საერთაშორისო ვითარება ახლა უფრო სერიოზული და დაძაბული გახდა იმის შედეგად, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა გადაჭრით თქვეს უარი მიიღონ სსრ კავშირის წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, და იმის შედეგად, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს განზრახული აქვთ რადაც უნდა დაუჯდეთ დამტკიცონ პარიზის შეთანხმებანი, აგრეთვე ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს ამასწინანდელ გადაწყვეტილებათა შედეგად, რომლებიც სახავენ ატომური ომის მომზადების გზას.

თვით იტალიაში, თქვა ტოლიატმ, გამწვავებული ვითარებაა იმასთან დაკავშირებით, რომ ცდილობენ ჩაახშონ დემოკრატიული თავისუფლებანი და ააღორძინონ ფაშიზმი. ტოლიატმ, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა კათოლიკე მშრომელებში, რათა შეიქმნას მშვიდობის მთავრობა, რომელიც მიიღებს ღონისძიებებს როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო დაძაბულობის შესარბილებლად.

მომხსენებელმა მკვეთრად გააკრიტიკა იტალიის მთავრობა, რომელიც არ სარგებლობს იტალიაში უმრავლესობის ნდობით და რომელსაც მხოლოდ მერყეი უმრავლესობა ჰყავს პარლამენტში.

თავის მისალმებაში მორანდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალისტური და კომუნისტური პარტიების ძმური ერთიანობა ამ წარმატებათა მთავარი საფუძველია, რომლებიც იტალიელმა მშრომელებმა რეაქციის წინააღმდეგ და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მოიპოვეს, და განაცხადა, ამ ერთიანობას თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ და მუდამ განვამტკიცებდეთო.

შემდეგ დამსწრეთა ტაშის გრიალში გამოქვეყნდა მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ნათქვამია:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უძღვნის იტალიის კომუნისტური პარტიის IV ეროვნულ კონფერენციას.

მუშათა კლასის ერთიანობისათვის, ყველა მშრომელთა დემოკრატიული უფლებებისა და საარსებო ინტერესებისათვის დაუცხრომელი ბრძოლით იტალიის კომუნისტურმა პარტიამ ხალხის ფართო მასების დიდი სიმპათია და სიყვარული მოიპოვა. კომუნისტებს ეკუთვნით წამყვანი როლი მილიონობით იტალიელ პატრიოტთა დარაზმაში იტალიის მშვიდობიანი ცხოვრების, ეროვნული ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ უსურვებს იტალიის კომუნისტურ პარტიას წარმატებებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებაში დემოკრატიისა და იტალიის პროგრესისათვის, ახალი დამაგრებელი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ახლა, აღნიშნა შემდეგ ტოლიატმ, სულ უფრო ძლიერდება უცხოეთის ჩარევა იტალიის საქმეებში, რომელიც ეკონომიურად და პოლიტიკურად დამოკიდებული ქვეყანა გახდა. რეპრესიებისა და მასობრივი ორგანიზაციების, ცალკეული მოქალაქეებისა და დემოკრატიულ გაერთიანებათა დევნის პოლიტიკა ხორციელდება უცხოელთა ბრძანებით, აგრეთვე იტალიის ბურჟუაზიის ცალკეული ჯგუფების ინსტრუქციებით.

შეეხო რა პარტიის ამოცანებს შექმნილ ვითარებაში, ტოლიატმ აღნიშნა, რომ ეს ამოცანებია ბრძოლა დემოკრატიული თავისუფლებებისათვის, მონოპოლიების წინააღმდეგ, კონსტიტუციის პრინციპების განხორციელებისათვის.

დასასრულ ტოლიატი შეეხო იტალიის პოლიტიკური განვითარების პერსპექტივებს. მან განაცხადა, რომ დიქტატურისა და ფაშიზმისაკენ დაბრუნების ყოველი ცდა იტალიის საზოგადოებრივ ომის პერსპექტივას უქმნის. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ვიბრძოლოთ „ფართო ფრონტის შექმნისათვის, რომელიც გააერთიანებდა მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვის საქმისათვის დარაზმული იტალიელი ხალხის უმრავლესობას“. ჩვენ არ მოვითხოვთ, თქვა მან, რომ მთავრობა შეიქმნას ჩვენი მონაწილეობით. მაგრამ მოვითხოვთ მთავრობას, რომელშიც იქნებიან მშრომელთა მასების წარმომადგენლები და რომელიც განახორციელებს ეკონომიურ რეფორმებს, მშვიდობის პოლიტიკას, აღადგენს დემოკრატიულ თავისუფლებებს და იმუშავებს ომისათვის, რომ ამაღლოს მასების ცხოვრების დონე. ამას რომ მივაღწიოთ, განაცხადა ტოლიატმ, „გადამწყვეტი ელემენტია ჩვენი მუშაობა, პოლიტიკური და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, რომლის მიზანია ამ პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში ჩააბას მოსახლეობის უმრავლესობა“.

პარიზის შეთანხმებანი უნდა უარვყოთ

საპროტესტო მოძრაობა საფრანგეთში

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). ახლოვდება რესპუბლიკის საბჭოში პარიზის შეთანხმებათა განხილვა; ამასთან დაკავშირებით საფრანგეთში ფართოვდება სახალხო საპროტესტო მოძრაობა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ. საფრანგეთში იმართება კრებები და მიტინგები, რომლებიც იღებენ მიმართვას რესპუბლიკის საბჭოს წევრებისადმი.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, სენტ-ლიერადის (ლოს და გარონის დეპარტამენტი) კანტონის ყველა დასახლებული პუნქტის მერებმა რესპუბლიკის საბჭოს წევრებს ამ დეპარტამენტისაგან გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მოითხოვენ პარიზის შეთანხმებათა უარყოფას.

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ და განიარაღების შესახებ მოლაპარაკებისათვის ბრძოლის სადეპარტამენტო კომიტეტმა, რომელშიც შედიან თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიისაგან არჩეული მუნიციპალური და გენერალური მრჩევლები, მოუწოდა ლოს და გარონის დეპარტამენტის ყველა მერს ხელი მოაწერონ ამ წერილს.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მხარს უჭერს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ მებრძოლ ფრანგ ქალთა კომიტეტის მოწოდებას, რომ 30 იანვარს ყველა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში მოეწყოს საპროტესტო კრებები და მიტინგები დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირებისათვის. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურომ ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ ღონისძიების მომზადებასა და გატარებაში.

„ყოფილ ფრონტელთა რესპუბლიკურმა ასოციაციამ“ თავის წევრებს მოუწოდა მტკიცედ იბრძოლონ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ.

გუშინ პარიზში გაიმართა კომუნისტური პარტიის პარიზის რაიონის ორგანიზაციათა აქტივის კრება. კრებაზე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მდივანმა ფრანსუა ბიუმ თქვა:

„როგორც უკანასკნელი თვეების გამოცდილება ადასტურებს, იმის საუკეთესო საშუალება, რომ ხელი შეეშალოთ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, ის არის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ რესპუბლიკური და დემოკრატიული ძალების კავშირი, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს მუშათა კლასის ერთიანი მოქმედება, სოციალისტებისა და კომუნისტების ერთიანი ფრონტი“.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგ ხალხს სრული შესაძლებლობა აქვს არ დაუშვას დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, უზრუნველყოს თავისი სამშობლოს უშიშროება და მშვიდობის საქმის გამარჯვება. ამისათვის საჭიროა ფრანგმა ხალხმა გადაჭრით მოსთხოვოს რესპუბლიკის საბჭოს წევრებს უარყონ პარიზის შეთანხმებანი.

საფრანგეთის მთავრობის მემორანდუმი დასავლეთ ევროპის კავშირის წევრი ქვეყნებისადმი

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტომ გამოაცხადა, რომ 5 იანვარს საფრანგეთის მთავრობამ ეგრეთწოდებული დასავლეთ ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს გადასცა მემორანდუმი, მიძღვნილი იარაღის სტანდარტიზაციისა და ერთობლივი წარმოების საკითხისადმი. პრეამბულაში საფრანგეთის მთავრობა ამ ქვეყნებს მოაგონებს, რომ დასავლეთ ევროპის კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერმა ქვეყნებმა „სურვილი გამოთქვეს წარმოების სათანადო ორგანიზაციით უზრუნველყონ მათს განკარგულებაში არსებული რესურსების საუკეთესოდ გამოყენება თავიანთი შეიარაღებული ძალების აღჭურვისათვის“.

მემორანდუმი საფუძვლად უნდა დაედოს იმ მუშა ჯგუფის მოლაპარაკებას, რომლის სხდომა დაიწყება 17 იანვარს პარიზში, და, ფრანს პრესის სააგენტოს მტკიცებით, აწესებს ორგანიზაციის შემდეგ მიზნებს შეიარაღების დარგში: სამხედრო დარგში — შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის გადიდება და მათი მომარაგების გაუმჯობესება; ბიუჯეტისა და მრეწველობის დარგში — შეიარაღების კრედიტების უკეთ გამოყენება და თვითღირებულების შემცირება; ეკონომიურ დარგში — მოვალეობათა ისე განაწილება, რომ ეს ურთიერთ ხელსაყრელი იყოს მონაწილე ქვეყნებისათვის.

სპორტის ამბები

ჰასტინგსში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). ჰასტინგსში დამთავრდა 30-ე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს საბჭოთა გროსმაისტერებმა კერესმა და სმისლოვმა, რომლებმაც შედეგ-შედეგი ქულა მოაგროვეს. მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილი გაიყვეს უნგრელმა გროსმაისტერმა სამომ, იუგოსლავიელმა ოსტატმა ფუდერერმა და ჩეხოსლოვაკიის გროსმაისტერმა პახმანმა, რომელთაგან თვითეულმა 5½ ქულა მოიგოროვა. მეექვსე ადგილი დაიკავა უნგრელმა (დასავლეთ გერმანია) — 5 ქულა. მეშვიდე ადგილზე გამოვიდა ინგლისელი ოსტატი ალექსანდერი, რომელმაც 4½ ქულა მოაგროვა. მერვე ადგილი დაიკავა დონერმა (ჰოლანდია) — 2½ ქულა, მეცხრე — ფეირჰერსტმა (ინგლისი) — 1½ ქულა, მეათე— ფილიპსმა (ინგლისი) — 1 ქულა.

დღეს მოხდა ტურნირის ოფიციალური დახურვა და ჯილდოების გადაცემა. სიტყვით მიმართა რა მოჭადრაკეებს, ქალაქ ჰასტინგსის მერმა განაცხადა, რომ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ ხელს უწყობს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას მთელი მსოფლიოს უზრალო ადამიანებს შორის.

საბჭოთა მოჭადრაკეების სახელით გროსმაისტერმა კერესმა მადლობა გადაუხადა ტურნირის ორგანიზატორებს სტუმართმოყვარეობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა და ინგლისელ მოჭადრაკეებს შორის განმტკიცდება.

ჩეხოსლოვაკიის გროსმაისტერმა პახმანმა თავის გმოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

ფინეთ-სსრ კავშირის ცხენოსან სპორტსმენთა საერთაშორისო ასპარეზობა

ჰელსინკი, 10 იანვარი. (საკდესი). გუშინ ჰელსინკის იპოდრომზე გაიმართა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ცხენოსან სპორტსმენთა ასპარეზობა.

საბჭოთა მხრივ ასპარეზობაში მონაწილეობდა 11 ცხენი.

სამივე შეჯიბრებაში საბჭოთა ცხენოსნებმა მოიგეს პირველი, მეორე და მესამე ადგილები.

ასპარეზობამ, რომელსაც 20 ათასი მაყურებელი დაესწრო, კარგ სპორტულ ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა მოციგურავეების მსოფლიო მიღწევები

საერთაშორისო შეჯიბრება მაღალი მთის საციგურაოზე

მაღალი მთის საციგურაოზე ალმა-ატის ახლოს 9 იანვარს დაიწყო მოციგურავეთა შეჯიბრება ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. წელს შეჯიბრებას საერთაშორისო ხასიათი აქვს.

პირველ დღეს გამოვიდნენ ვაქები. გამარჯვებული 500 მეტრზე რბენაში გამოვიდა ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენი ი. სერგეევი. მისი შედეგია 41 წამი. წარმატებით გამოვიდნენ 500 მეტრზე რბენაში უცხოელი სპორტსმენები. ჩეხოსლოვაკიის ახალი რეკორდი დაამყარა ვ. კოლარჟმა. მისი დროა 44 წამი. პოლონელმა მოციგურავემ ს. მაგროვსკიმ 1,1 წამით გაუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი და დისტანცია 44,4 წამში გაირბინა. 17-18 წლის ასაკის ჭაბუკთათვის 500 მეტრზე რბენაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ვ. კოპტინმა. მისი დროა 42 წამი.

თვალსაჩინო შედეგები მოიპოვეს მოციგურავეებმა 5.000 მეტრზე რბენაში. ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენმა ვ. კოლარჟმა, რომელიც პირველ წყვილში იყო, დისტანცია 8 წუთსა და 34 წამში გაიარა. ჩეხოსლოვაკიის წინანდელი რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნის, უფრის 8 წუთსა და 35,1 წამს. მეხუთე წყვილში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ს. მაგროვსკი (პოლონეთი) და დ. საკუნერკო (სსრ კავშირი). საბჭოთა სპორტსმენმა დისტანცია გაიარა 7 წუთსა და 54,9 წამში და 8,8 წამით გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. მაგრამ მალე მსოფლიოს ასსოლუტურმა ჩემპიონმა ბორის შილკოვმა, რომელიც შემდეგ წყვილში იყო, ხუთი ათასი მეტრი გაირბინა 7 წუთსა და 45,6 წამში. მაყურებლები აღტაცებით შეხვდნენ ცნობას საბჭოთა სპორტსმენის ბრწყინვალე წარმატების შესახებ.

შეჯიბრება გრძელდება.

ვ. დმიტრიევი,
საკდესის სპეც. კორ.

საბჭოთა და შვედი ჰოკეისტების შეჯიბრება

9 იანვარს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და შვეიცის ნაკრები გუნდების შეჯიბრება შაიბიან ჰოკეში. სტუმრები, როგორც 7 იანვარს, თავიანთი ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ. საბჭოთა კავშირის გუნდში ამჯერად უძლიერეს ჰოკეისტთა ნაცვლად ახალგაზრდა სპორტსმენები თამაშობდნენ. შეჯიბრება მოიგეს შვედმა ჰოკეისტებმა ანგარიშით 5:2. (საკდესი).

საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ტანვარჯიშში

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და სასპორტო საზოგადოება „პიშჩევიკის“ სასპორტო დარბაზებში ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სპორტულ, მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 18 გუნდმა, რომელებშიც გაერთიანებული იყო თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის და ქუთაისის 200-ზე მეტი მოსწავლე.

საერთო გუნდური პირველი ადგილი ყველა სახეობის შეჯიბრებაში მოიპოვეს თბილისის განათლების განყოფილების პირველ ნაკრები გუნდის სპორტსმენებმა. მეორე ადგილი დაიკავა თბილისის განათლების განყოფილების მეორე ნაკრებმა გუნდმა, მესამე — აფხაზეთის წარმომადგენლებმა.

იმ ქალაშვილთა შორის, რომლებიც გამოვიდნენ ოსტატის თანრიგით სპორტულ ტანვარჯიშში, პირველი ადგილი დაიკავა ვ. ზაიცევამ (ქუთაისი), ჭაბუკთა შორის — ვ. ხაზეიშვილმა (თბილისი).

ხელოვნების ქრონიკა

თბილისის თეატრები ახალ წელს

თბილისის თეატრებში დამთავრდა მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი. მეორე ნახევარში გათვალისწინებულია მთელი რიგი ახალი დადგმები.

ახალი წლის პირველ პრემიერებად ოპერისა და ბალეტის თეატრი მაყურებელს უჩვენებს კომპოზიტორ ა. შავერზაშვილის ოპერა „მარინეს“ (დამდგმელი — სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ჩხარტიშვილი, დირიჟორი — ზ. ხუროძე) და ბ. ჩაიკოვსკის ბალეტს „შჩელკუნჩიკს“ (დამდგმელი — სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ვახტანგი, დირიჟორი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი).

რუსთაველის სახელობის თეატრი ამზადებს ა. აგლაძის პიესას „წარსულის ფურცლები“. სპექტაკლს დგამს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი — დრამატურგ ვ. კანდელაკის ჰეროიკულ კომედიას „მაია წყნეთელი“ (დადგმაზე მუშაობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ტაბლიაშვილი); ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრი — ა. არბუზოვის პიესას „მოგზაურობის წლები“ (დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ღვინიაშვილისა).

ახალ სპექტაკლებს ამზადებენ სხვა თეატრებიც. სომხური დრამის თეატრი დგამს ალ. ტოკაევის კომედიას „სასიძეები“, მუსიკალური კომედიის თეატრი — ჟ. ოფენბახის კლასიკურ ოპერეტას „პერიკოლა“, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს“, მოზარდ მაყურებელთა რუსული — ი. პრინცევის პიესას „ზედნიერ ქუჩაზე“.

სამი ახალი სპექტაკლი ერთ დღეს

გორი. („კომუნისტის“ კორ.). ნაყოფიერი შემოქმედებითი წარმატებით შეხვდა ახალ წელს გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც მაყურებელს უჩვენა სამი ახალი სპექტაკლი. აღსანიშნავია, რომ სამივე წარმოდგენა ნაჩვენები იყო ერთსა და იმავე დღეს.

გორში წარმოდგენილ იქნა დ. შჩეგლოვის პიესა „გამოქცევა“, რომელიც ასახავს დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ერთერთ პერიოდს. სპექტაკლი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ვ. მიდელაძემ. სტალინის როლს ასრულებს მსახიობი გ. ციცქიშვილი.

აგარაში გორის თეატრმა ადგილმბრივი კლუბის სცენაზე უჩვენა ბალაბანისა და სობოკოს პიესა „ასი მილიონი“ (დადგმა ვ. ფაჩულიასი).

მესამე ახალი სპექტაკლი — გოლდონის კომედია „სასეირო შემთხვევა“, რომლის დადგმა ეკუთვნის გ. ლაღიძეს, გორელმა მსახიობებმა უჩვენეს ქარელის რაიონის კულტურის სახლში.

გორის თეატრი კარგ მომსახურებას უწევს კასპის, ქარელის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების კოლმეურნეებს, მუშა-მოსამსახურეებსა და მოსწავლეებს.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 12 და 13 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7, დღისით 8-13 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა —4 გრადუსი სითბო, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 4-9 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო.

ახალი ფილმები

„ალაზნის ველი“

თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ რესპუბლიკის ეკრანებზე გამოუშვა ახალი ფეერადი კინონარკვევი „ალაზნის ველი“ (რეჟისორია შ. ჩაგუნავა, ოპერატორი ა. სემიონოვი, სცენარი ა. კოკილაშვილის, კ. გოგოძისა და შ. ჩაგუნავასი, მუსიკა კომპოზიტორ ა. კერესელიძისა).

... თვითმფრინავიდან მოჩანს საერთო ხედი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — ალაზნის ველისა, რომელიც კავკასიონის, ცივ გომბორის მთებსა და ივრის ზეგანს შუა მდებარეობს. აქ, ბუნების სიმდიდრით განთქმულ ამ მხარეში, გაშენებულია ქალაქები, სოფლები, საბჭოთა მეურნეობები. ეკრანზე მოჩანს სოფელი ზემო ალვანი, გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც მიმდინარეობს ბურნი ჯვარედინად თესვა, ხორსის საბჭოთა მეურნეობა, ალაზნის სარწყავი არხი, ალაზანმესი.

ფილმის მეორე ნაწილში გადაღებულია ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა, მზის სრული დანმელება ალაზნის ველის რაიონში, ატმის კრეფა ხორსის საბჭოთა მეურნეობაში, რთველი წინანდლისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობებში.

კინონარკვევში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ალაზნის ველის ისტორიული ადგილების ჩვენებას. ეკრანზე მოჩანს ალვეერდისა და ბოგმის უძველესი არქიტექტურული ნაგებობანი, სიღნაღის გალავანი, თელავის ღირსშესანიშნაობანი.

„პამირის მწვერვალებზე“

დოკუმენტალური კინონარკვევი „პამირის მწვერვალებზე“ მთლიანად მიეძღვნა საქართველოს გამოჩენილ ალპინისტებს. რომლებმაც გასული წლის ზაფხულში მოაწყეს ლაშქრობა პამირის უმაღლეს მწვერვალებზე.

ოპერატორები ბ. კრეპსი და ო. დეკანოსიძე თვითონ მონაწილეობდნენ პამირის ექსპედიციაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ო. გიგინეიშვილი.

ფილმის პირველი კადრები ასახავენ ექსპედიციის მოგზაურობას თვითმფრინავით. გადაღებულია შუა აზიის ქალაქები. შემდეგ ნაჩვენებია პამირის უმაღლეს მწვერვალებზე — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის პიკებზე ასვლა. კარგად არის გადაღებული კადრები, რომლებიც ასახავენ მამაცი ალპინისტების მ. გვარლიანის, კ. კუზმინის, ა. ნემსიწვერიძისა და გ. გულბანის ასვლას გაყინულ კედელზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1.300 მეტრს უდრის.

ფილმის დასასრულს ნაჩვენებია ალპინისტების